ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 19 თებერვალი, 2021 | №25 (8554) | ფასი: 60 თეთრი

## ნიკა მელია: „ერთადერთი გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია“

გვ.5





გვ.5

## სუბარი: „ვერ გავიგე, გახარია რატომ გადადგა“

# „ღარიბაშვილი კობახიძესაც ჩაარჩოჩებს და მდინარაძესაც“

გვ.2



## ლადო სადღობელაშვილი: „ახალ პრემიერს რიგგარეშე არჩევნები დასჭირდება“



## „გახარიამ ივანიშვილს სამაგიერო გადაუხადა“

გვ.3



დავით ჭიჭინაძე: „გახარია არ იმსახურებდა იმას, რასაც მას უმზადებდნენ „ოცნებაში“



## „იმედია, გახარია მალე კიევში არ ჩაფრინდება სააკაშვილთან სათათბიროდ“

გვ.5

„ის იყო ავანტიურისტი, შანტაჟისტი, მილიონებისა და მილიარდების გამტანი საქართველოდან“

## თაკო ჩარკვიანი: „გახარიას ფანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მისი ღარიბაშვილთან შედარება როგორ შეიძლება!“



გვ.2



გვ.4

## „ივანიშვილს სანქციები არ ასცდება“

ბეჟან ნათელაშვილი: „დღეს საქართველო ორადაა გაყოფილი. ხელისუფლება ერთ მხარესაა, ხალხი – მეორე მხარეს“

## ალეკო ელისაშვილი: „სააკაშვილს რევოლუცია უნდა და ამაში მთავარ მოკავშირედ „ქართული ოცნება“ ჰყავს“



გვ.3



გვ.3

## კორნელი კაკაჩია: „გახარიას გადაწყვეტილება დაგვიანებულია“



გვ.4

## ანრი ოხანაშვილი: „მელიას დაკავება აუცილებლად აღსრულდება“

ISSN 1987-9385

4 „ვაფასებთ ხელისუფლებისა და ოპოზიციის თავშეკავებას“

4 გია ვოლსკი: „გიორგი გახარია იყო ღირსეული პრემიერი. გული მწყდება“

3 თბილისში სკვერში მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

6 სამ ჩრდილოკორეელ პროგრამისტს 1.3 მილიარდი დოლარის მოპარვა სურდა

# „ღარიბაშვილი კობახიძესაც ჩააჩოჩებს და მდინარაძესაც“

## ლადო სადღობელაშვილი: „ახალ პრემიერს რიგგარეშე არჩევნები დასჭირდება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.**

***– უამრავი შეფასება მოვისმინეთ გახარიას წასვლის შესახებ. ბევრს გული დასწყდა. ნაწილი ფიქრობს, რომ მან სათავისოდ კარგი სიტუაცია შეარჩია წასასვლელად. მითი მისი კარგი კრიზისმენეჯერობის შესახებ ჩავარდა, ამიტომ გმირად წასვლა სჭირდებოდაო. თქვენ რას იტყვით?***

– ჩემი გადმოსახედიდან, გახარია სულაც არ იყო კარგი კრიზისმენეჯერი, იმიტომ, რომ სწორედ გახარიას დროს, მართალია, დაემთხვა ეს პანდემია, მაგრამ მისი გადაწყვეტილებები რიგ კრიზისულ საკითხებთან დაკავშირებით იყო ძალიან არასოციალური.

***– რა ნაბიჯებს უწუნებთ?***

– რომელი ერთი ჩამოვთვალო, თუნდაც ამ კრიზისის დროს სოციალური დახმარებები რომ ავიღოთ უმუშევრად დარჩენილი ადამიანების მიმართ. ეს არ იყო სწორად დაგეგმილი. არასწორი იყო მისი დამოკიდებულება ბიზნესის მიმართაც. ჩვენ ვხედავდით, ბოლო პერიოდში როგორ მოხშირდა აქციები რესტორნებისა და კაფე-ბარების გახსნასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, გახარიას უნდოდა, თავის თავი წარმოეჩინა ხალხზე მზრუნველად, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ვერ მოახერხა.

***– გახარიამ სწორად გათვალა წასვლა? ოპოზიციამ მოუწონა გადაწყვეტილება და საქებარი სიტყვები არ დაიშურა მისი მისამართით, ნათელი წერტილი იყო ხელისუფლებაშიო. რას ნიშნავს ეს შეფასებები?***

– აი, ზუსტად ეგ არის საინტერესო. მან თავისი ნაბიჯით ეს ათქმევინა ნაცმოძრაობას. ჩემი აზრით, გახარია უნდა წასულიყო. მთავრობის წევრის გადაწყვეტილება არ უნდა უხაროდეს ოპოზიციონერს. ამ პროცესებიდან გაირკვა, რომ თურმე გახარიას არ სურდა მელიას დაკავება.

***– კრიზისს შექმნიდა მისი დაკავება, შესაძლოა, სისხლიც დაღვრილიყოო. პროცესების დაძაბვას მოერიდა? თუ დასაჭერი იყო მელია, როცა სამაჯური მოიხსნა და კანონი დაარღვია, მაშინვე რატომ არ დაიჭირეს?***

– მეც ზუსტად მაგას ვამბობ. როგორც ჩანს, მაშინაც პრემიერმა გადაწყვიტა, რომ არ უნდა დაეჭირათ. პირდაპირ ამბობს გახარია, არ მინდოდა მელიას დაჭერაო. ახლაც ყველანაირად ხელს უშლიდა მელიას დაჭერას. მელიას ადგილას სხვა ნებისმიერი რომ ყოფილიყო, მას ხომ დაიჭერდნენ!

***– რა ინტერესი ჰქონდა გახარიას მელიასთან დაკავშირებით?***

– ეტყობა, რაღაც კუდები იყო გახარიას გუნდში, რომელსაც ის ნაციონალებთან მიჰყავდა. სულ გამოდიოდა ინფორმაციები, რომ ძალოვან სტრუქტურებში გახარიას კადრები ვინც იყვნენ, ისინი იყვნენ ნაციონალური მოძრაობის გადმონაშთები.



***– ვის გულისხმობთ?***

– მოდით, არ გვინდა დღეს გვარების დასახელება, საზოგადოება ისედაც კარგად ხვდება, ვისზეც მაქვს საუბარი. მისი პრემიერობის დროს, მისი შს მინისტრობის დროს ძალოვან უწყებებში მომრავლდნენ ნაციონალური მოძრაობის კადრები. სწორედ ამის ფონზე ხდება, რომ გახარიას არ უნდა თურმე მელიას დაჭერა. რამე ვალი მართებს გახარიას მელიასი ან მელიას ოჯახის?!

როდესაც საქმე მიდგა უგულავაზე, ოქრუაშვილსა და რურუაზე, გახარიამ უყოყმანოდ გადადგა ეს ნაბიჯი, მელიაზე კი რაც მოხდა, ვნახეთ. სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ გახარიას რაღაც ვალდებულება ჰქონდა ამ პიროვნებასთან, მის ოჯახთან, შესაძლოა, სულაც სხვა ქვეყნის დაკვეთას ასრულებდა. „ქართული ოცნების“ მთელ გუნდს სურს მელიას დაჭერა და ერთადერთი გახარია უწევდა წინააღმდეგობას.

***– ექსპერტთა ერთი ნაწილისგან მოვისმინეთ შეფასებების მეორე ვერსიაც, რომ ეს არ ყოფილა ნაციონალური მოძრაობის გამარჯვება. ეს იყო ირაკლი კობახიძის გამარჯვება გახარიაზე.***

– ეს ირაკლი კობახიძის გამარჯვება არ იყო. ეს იყო ბიძინა ივანიშვილის გამარჯვება გახარიაზე, იმიტომ, რომ მოიშორა ეს კაცი. ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ აღარც გახარია დადიოდა პოლიტსაბჭოს შეკრებებზე. ბიძინა რომ წავიდა, პრაქტიკულად გახარიაც წავიდა. სწორედ მაშინ დაიწყო გახარიას გადაბარების პროცესი.

***– არ ემორჩილებოდნენ ძალოვანი მინისტრები გახარიას, არც ჯანდაცვის მინისტრი და ეს ინფორმაციები სულ გამოდიოდა.***

– კი ბატონო, ასე იყო. ტიკარაძის განცხადებაც ხომ გახსოვთ, ადრე ვისაუბრეთ ამაზე. ტიკარაძე ამას ტყუილად რომ არ იტყოდა, ეს ხომ გასაგები იყო. უბრალოდ, ამ ყველაფრის შესრულების ინსტრუმენტი გახდა კობახიძე, თორემ ეს თავიდანვე იყო გადაწყვეტილი.

როდესაც ტიკარაძემ გახარიას უთხრა, შენ აქედან წახვალ და მე აქ დავრჩებიო, აი, აქედან დაიწყო ყველაფერი. იქ უკვე დაძაბულობა სუფევდა. რისი პრემიერია, რომელსაც არც ერთი ძალოვანი მინისტრი არ ჰყავს. ეს ხომ პრემიერი არ არის. წულუკიანი ჩამოაშორეს მას და პარლამენტში გაუშვეს.

გახარია საქართველოს არ გამოადგა პრემიერად. ის ჩაფლავდა. მე არასდროს ვყოფილვარ ირაკლი კობახიძის მოტრფიალე და არც ვიქნები, მაგრამ კობახიძემ შექმნა ის მოცემულობა, რომლითაც აიძულა გახარია, წასულიყო თანამდებობიდან. ორჯერ ერთსა და იმავე წყალში არ შედისო, ალბათ, სწორედ გახარიაზე იყო ნათქვამი. როგორც ჩანს, მას უნდოდა წყნარად წასვლა და სიტუაციის დაძაბვამდე წავიდა.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ გახარიას შესტენეს 20 ივნისის ღამე, ასევე ბასიანი და მესამედ ეს აღარ დაუშვა, დაასწრო მოვლენებს და გადადგა. ასეა?***

– მე ვერ ვიტყოდი, რომ მას ბასიანი და 20 ივნისი შესტენეს, თუმცა, 20 ივნისი რომ გაუჩალიჩეს, უეჭველად ასეა. ამათ შორის კი განსხვავება არის. მელია სწორედ მაშინ გააქტიურდა ყველაზე მეტად, როდესაც გააქტიურდა გახარია. ძალიან ბევრი შეთანხმებული ნაბიჯი იყო გახარიასა და მელიას შორის.

საინტერესო პროცესები ახლა იწყება.

***– გახარიას გაჰყვებიან მისი კადრები?***

– რა თქმა უნდა, ყველა ახალი რწმუნებული თუ გუბერნატორი, რომლებიც კი გახარიამ დანიშნა, წავა. სხვა პოზიციებზე კი არ გადავლენ, არამედ საერთოდ წავლენ. ამ საკადრო კვოტებს ახალი პრემიერი ჩაიბარებს. ხომ წავიდა გახარია, აი, ნახეთ, გაქრება მელიაც. ის აღარ იქნება ისეთი აქტუალური, როგორიც დღემდე იყო.

***– ანუ მელია გახარიას პროდუქტია?***

– კი, ასეა. მელია გახარიას პროდუქტია. ის მოქმედებდა გახარიასთან შეთანხმებულად. ის დანაშაულები, რომლებიც მელიამ ჩაიდინა, სხვას რომ ჩაედინა, მაშინვე დააპატიმრებდნენ. მელია ძალიან გამომწვევად იქცეოდა და ასე გამომწვევად შეთანხმების გარეშე არ იქცევიან.

***– ახლა რა იქნება, დაიჭერენ მელიას?***

– ორი აზრი არ არსებობს, რომ დაიჭერენ. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს ვეკითხები: ამ ყველაფრის შემდეგ როგორ ამართლებთ გახარიას?! გახარია ყოველთვის რუსეთთან ასოცირდებოდა. ის იყო აბსოლუტური რუსი მთელი თავისი მოქმედებებით.

გახარიას წასვლის შემდეგ ჩხარტიშვილის საქმეც არ იქნება კარგად. მისი გავლენები საგრძნობლად შემცირდება. გახარიას უკან იდგა ჩხარტიშვილი. ბიძინამ ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა. ვინ თამაშობს აქ, თუ არა ბიძინა ივანიშვილი?! ყველგან ბიძინაა, პოლიტიკაშიც და ბიზნესშიც.

***– პრემიერობის კანდიდატადაც სწორედ ივანიშვილთან ყველაზე დაახლოებული პირი, ირაკლი ღარიბაშვილი, დაასახელეს. როგორ აფასებთ ღარიბაშვილის მეორედ მოსვლას?***

– თუ რაიმე სამაშველო რგოლი შეიძლებოდა გადმოეგდო „ქართულ ოცნებას“ თავისი გულშემატკივრებისთვის, ერთ-ერთი ყველაზე კარგი ვარიანტი ამ სიტუაციაში სწორედ ღარიბაშვილის დასახელება იყო პრემიერის პოსტზე.



თუმცა აქ მთავარია ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – ირაკლი ღარიბაშვილი ის პრემიერი იქნება, რომელიც მხოლოდ ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებით მიიღებს გადაწყვეტილებებს თუ ირაკლი კობახიძესთან და მსგავს ტიპებთან?!

***– ირაკლი ღარიბაშვილი და ირაკლი კობახიძე ერთად ვერ ძოვენო. ამაზე რას იტყვით?***

– 2014 წელს, როდესაც ირაკლი კობახიძე მოვიდა პარტია „ქართულ ოცნებაში“, პირველი განცხადება, რომელიც გააკეთა, იყო ღარიბაშვილის საწინააღმდეგო, რამაც გულანთებული „ოცნების“ მხარდამჭერების აღშფოთება გამოიწვია. ისინი ერთ სივრცეში დიდხანს ვერ იქნებიან. ღარიბაშვილი აუცილებლად დაიწყებს კობახიძისა და მისი მსგავსი პიროვნებების ჩამოშორებას. ღარიბაშვილი გამოცდილი პრემიერია. ის იყო უკვე ამ თანამდებობაზე.

***– და მის უკან დგას ბიძინა ივანიშვილი, გახარიასგან განსხვავებით.***

– რა თქმა უნდა, დგას ივანიშვილი. გახარიას კი ზურგს ჩხარტიშვილი უმაგრებდა. აქ ერთი პრობლემა ჩნდება – ღარიბაშვილს პარლამენტში არ ჰყავს თავისი გუნდი. სწორედ აქედან გამომდინარე მე გიანონსებთ ვადამდელ არჩევნებს. ღარიბაშვილი არ არის ის კადრი, რომელიც საპარლამენტო გუნდის გარეშე გაუძღვება ქვეყნის მართვას. ღარიბაშვილი დააკომპლექტებს რიგგარეშე არჩევნების სიას და მისი გუნდის წევრები უფრო მძლავრად იქნებიან წარმოდგენილი ამ სიაში.

***– ღარიბაშვილს დღეს არ ჰყავს თავისი გუნდის წევრები პარლამენტში?***

– არ ჰყავს. კობახიძეს ჰყავს, კალაძეს ჰყავს, ღარიბაშვილის გუნდის არც ერთი წარმომადგენელი არ არის პარლამენტში. ამიტომ ჩემი პროგნოზი ასეთია, დიდი ალბათობით, დაიჭერენ მელიასაც. სწორედ ამიტომ მოვიდა ღარიბაშვილი, რომ ნაცებს გაუსწოროს ანგარიში, ისინი გაასწოროს მიწასთან. ამისთვის კი მას სჭირდება რიგგარეშე არჩევნები.

დღეს თუკი რამე დაეხმარებოდა „ქართულ ოცნებას“ იმისთვის, რომ ამ ჭაობიდან ამოსულიყვნენ, იყო ეს გადაწყვეტილება. ღარიბაშვილი ჩააჩოჩებს მდინარაძეს, რომელიც ყოფილი ნაცია და კიდევ მის მსგავსებს, რომლებიც მრავლად არიან დღეს „ოცნებაში“.

# თაკო ჩარკვიანი: „გახარიას ფანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მისი ღარიბაშვილთან შედარება როგორ შეიძლება!“

## „ის იყო ავანტიურისტი, შანტაჟისტი, მილიონებისა და მილიარდების გამტანი საქართველოდან“

„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრ თაკო ჩარკვიანის განცხადებით, ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია მარტო არ არის და თავისი თანამოაზრეები სამინისტროებში ისევ ჰყავს.

როგორც ჩარკვიანმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა, ის გახარიას ფანი არასდროს ყოფილა, თუმცა, მისი შეფასებით, ყოფილ პრემიერს „სხვა ქარიზმა და სხვა ძალა ჰქონდა“.

– გიორგი გახარიას ნამდვილად ჰყავს თანამოაზრეები სამინისტროებში და გარკვეულ თანამდებობებზე. მერწმუნეთ, გახარია არ არის მარტო. სულ რომ მისი კარგი ნაცნობები არ იყვნენ, მენტალურად და მსოფლმხედველობით დაიწყეს გარკვეულმა ადამიანებმა ფიქრი იმაზე, რომ იქ ყოფნა ახლა თავიანთი შვილებისთვის დანაშაული და შეცდომაა.

ეს არის უდიდესი რამ, სტრუქტურის ჩამოშლა ასე იწყება. გახარიას სხვა ქარიზმა და სხვა ძალა ჰქონდა. აქ ორი აზრი არ არის. თუმცა მე დიდი ფანი მისი არ ვყოფილვარ 20 ივნისიდან გამომდინარე. ეს გამორიცხული თემაა, – განაცხადა ჩარკვიანმა.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრად დასახელებულ ირაკლი ღარიბაშვილს, თაკო ჩარკვიანის შეფასებით, ის მწვავე რადიკალიზმით გამოირჩევა თავისი სახელმწიფოს მიმართ და არის „ტროლთა ინსტიტუტის“ შემქმნელი.

– ის არის კორუფციაში ჩაფლული, სიბინძურეში რომ ჩაიტანა მთელი საზოგადოება. ეს არის ტროლთა ინსტიტუტის შემქმნელი, ეს არის პირადი კადრების, მათ შორის, ნაციონალური მოძრაობის წევრი ქალბატონების ოჯახების პირადი კადრები რომ გამოატანინა ამ „ჰაკიმ ფაშამ“. ეს არის რადიკალური ნაციონალური მოძრაობის მიმართ კი არა, ქართული სახელმწიფოებრიობის მიმართ განწყობილი ადამიანი, რომლის მოსვლას ქართველი საზოგადოება არ დაუშვებს.



თუ რაიმე უკავშირდებოდა მის სახელს, თუ „კასრების“ საკითხი უკავშირდებოდა, რატომ არავინ ვნახეთ იმ ამბიდან დაკავებულ-დაჭერილი? ეს იყო ავანტიურისტი, შანტაჟისტი, ეს იყო მილიონებისა და მილიარდების გამტანი საქართველოდან. ეს გახლავთ ირაკლი ღარიბაშვილი!

მე მითქვამს – ეს არის რუსეთ-საქართველოს ომი. ფრთხილად იყავით ქართულ სახელმწიფოებრიობასთან, ბატონო ირაკლი! ერთი ოჯახი გეყოფათ, თქვენ ხართ სიბინძურე საქართველოს თავზე შემოსული. თქვენ უკან ვინ დგას, ის ვიცით. ლაშა ნაცვლიშვილის, ნუგზარ ფოფხაძის კარტელს და თქვენს კარტელს, თქვენს უშიშროების ინსტიტუციას საქართველოს არ დავანგრევინებ!

ამიტომ ღირდა ჩემი ბოიკოტი, რომ ჩამოშლილიყო თქვენი და ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი ინსტიტუცია. ოჯახები დააქციეს და დააქცია ირაკლი ღარიბაშვილის ბინძურმა ინსტიტუტმა. როგორ შეიძლება მისი და გახარიას შედარება? მიუხედავად იმისა, რომ ერთი სიტყვა არ იცის გახარიამ თაკო ჩარკვიანისგან ქათინაური, 20 ივნისის თავის თავზე არამღებ კაცს ვერასოდეს გმირობას ვერ შევაწერ, გამორიცხული ამბავია, დაივიწყოს გახარიამ! მაგრამ მათი შედარებაც გამორიცხული ამბავია.

ღარიბაშვილი არის ჩვეულებრივი სიბინძურე. არ დავასახელებ იმ ქალბატონის სახელსა და გვარს, მაგრამ ოჯახი ააწუმპებინა თავისი მდედრიონით; დღესაც რომ კორპორაციაში უზით, – განაცხადა ჩარკვიანმა და დასძინა, რომ თუ ღარიბაშვილი რადიკალურ ნაბიჯს გადადგამს, ოპოზიცია მას აჩვენებს რადიკალურ ნაბიჯს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კორნელი კაკაჩია: „გახარიას გადაწყვეტილება დაგვიანებულია“

იაგო ნაცვლიშვილი

გიორგი გახარიამ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა, მიზეზად კი ნიკა მელიასთვის პატიმრობის შეფარდება დაასახელა. გახარია ამბობს, რომ ეს გაზრდის პოლიტიკურ დაძაბულობასა და პლურალიზმს, რაც მისთვის მიუღებელია. უკვე ექსპრემიერმა ისიც თქვა, რომ გუნდში შეთანხმებას ვერ მიაღწია. „ქართულმა ოცნებამ“ კი პრემიერმინისტრობის ახალ კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილი დაასახელა, რომელიც უკვე იკავებდა თანამდებობას ამ ხელისუფლების პირობებში.

რატომ გადადგა გახარია, რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო და პროცესების როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი **კორნელი კაკაჩია** საუბრობს.

***– როგორ აფასებთ გიორგი გახარიას გადაწყვეტილებას და ეს მიანიშნებს თუ არა იმას, რომ ქვეყანა მწვავე პოლიტიკური კრიზისის წინაშე დადგა?***

– გიორგი გახარიას გადაწყვეტილება იყო სწორი, მაგრამ ცოტათი დაგვიანებული იყო მისი მხრიდან, თუმცა მე მგონია, სწორი იმიტომ იყო, რომ ეს არის მცდელობა, გარკვეულწილად კონფრონტაციის შერბილებას ხელი შეუწყოს. ასევე მან გამოიჩინა თავისი წილი პასუხისმგებლობა.

აქამდეც საუბრობდით მედია, რომ ერთიანობა არ არსებობს „ქართული ოცნების“ შიგნით და სხვადასხვა ჯგუფს შორის არის კონკურენცია. ამის დადასტურება იყო ის, როდესაც მან გააკეთა განცხადება, ჩვენი ხედვები არ ემთხვეოდა ერთმანეთს ვითარების განმუხტვასთან დაკავშირებითო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ გახარიას არ სურდა, კიდევ ერთხელ თავის თავზე აეღო. ის ერთხელ უკვე იყო ამ სიტუაციაში გავრილოვის ღამის შემდეგ. მეორედ ამის თავის თავზე აღება მას არ უნდოდა, მით უმეტეს – ივანიშვილის წასვლის შემდეგ.

***– ასე შეიძლება ითქვას, რომ გიორგი გახარია „ქართულ ოცნებას“ გაემიჯნა?***

– კი, გაემიჯნა და მისი პოზიცია იყო უფრო რბილი, განსხვავებით გუნდის სხვა წევრებისგან, რომლებიც უფრო ხისტი პოზიციის მომხრეები არიან, არაფრის დათმობას არ აპირებენ და ძალის გამოყენებაზეც არ ამბობენ უარს. გახარია კი ეცადა, რომ ამ სიტუაციას გარიდებოდა. ამ ვითარებამ გამოაჩინა ის კრიზისი, რომელზეც დიდი ხანია, ყველა საუბრობს.

***– არის ეს კრიზისის განმუხტვისკენ გადადგმული ერთი პატარა ნაბიჯი?***

– მისი მხრიდან, შესაძლოა, აქეთკენ გადადგმული ნაბიჯიც არის, მაგრამ, რამდენად გამოუვა და რამდენად განმუხტავს ამ კრიზისს, რთული სათქმელია, იმიტომ, რომ ეს არ უკავშირდება ერთ კონკრეტულ შემთხვევას, რადგან, მელიას ქეისის გარდა, არის მთელი რიგი პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც არჩევნების შემდეგ წარმოიშვა. ამას რამდენად გადაწყვეტს, რთული სათქმელია, რადგან აქ უკვე რთულადაა საქმე. პრემიერის გადადგომის შემდეგ ასეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ შესაძლოა ითქვას, ვინც დარჩა „ქართულ ოცნებაში“, კიდევ უფრო ხისტი პოზიციის მქონეები არიან და ძალიან გაჭირდება მოლაპარაკება.

***– ანუ დიალოგის სივრცე ახლა უფრო იკეტება, ვიდრე აქამდე იყო. მელიამ, მაგალითად, მოუწოდა ხელისუფლებას დიალოგისკენ?***



– დიალოგის სივრცე, არა მგონია, დაიკეტოს. ფორმალურად ორივე მხარე ყოველთვის გამოხატავს დიალოგისთვის მზადყოფნას, მაგრამ აქ მთავარია, მივლენ თუ არა ისინი კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე, რომ ახალი არჩევნები დაინიშნოს. ეს, მგონი, ცოტა უფრო გართულდება. ვფიქრობ, „ქართული ოცნების“ წევრებმა კარგად იციან, რა რეიტინგი აქვს მმართველ პარტიას, მით უმეტეს – ივანიშვილის წასვლის შემდეგ და რა განწყობები იქნება საზოგადოებაში ზოგადად რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში.

გარდა ამისა, ეს იქნება ოპოზიციის გარკვეულწილად პოლიტიკური და მორალური გამარჯვება, ვინაიდან ეს ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ უნდა აღიარონ, 2020 წლის არჩევნები არასამართლიანი იყო და ამის შემდეგ როგორ შეიცვლება საზოგადოებრივი აზრი, კაციშვილმა არ იცის, გარკვეული რისკებია, რომ ეს იქნება ძალაუფლების დაკარგვა და, ბუნებრივია, ეს სცენარი საერთოდ არ შედის ამ ხალხის ინტერესებში. აქედან გამომდინარე, მათი პოზიცია, სავარაუდოდ, უფრო ხისტი იქნება.

***– თქვენი აზრით, როგორი ფიგურა უნდა დაესახელებინათ?***

– სასურველი იქნებოდა ადამიანი, რომელსაც ცოტაოდენი დადებითი იმიჯი და ნდობა აქვს საზოგადოებაში და რომელიც ცოტა უფრო დაღვინებულია და შეუძლია, კომპრომისული ნაბიჯები ეძებოს იმავე ოპოზიციურ სპექტრთან და ამ მიმართულებით გადადგამს ნაბიჯებს.

***– „ქართულ ოცნებაში“ ასეთი ფიგურა არის?***

– სამწუხაროდ, ასეთს ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ ყველა რადიკალურ პოზიციებშია გადასული და რთულია მოძებნო ისეთი ადამიანი, რომელიც იქნება შემკვრელი გუნდის შიგნით „ქართულ ოცნებაში“ და მერე მთლიანად საზოგადოებისაც. ასე რომ, უნდა დაველოდოთ, ვის დაასახელებენ. შემკვრელი ფიგურების ნაკლებობა აშკარაა.

***– ივანიშვილს აღარ ექნებოდა ამ პროცესზე გავლენა?***

– არა მგონია, პირდაპირ ჩაერიოს. სულ ახლახან წავიდა და ეს ასევე დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებს ამ პროცესებისგან განრიდებას.

***– დასავლეთის როლს რამდენად ექნება გავლენა იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც უნდა მიიღონ? ვგულისხმობ მათ შორის დიალოგსაც.***

– დასავლეთი დაინტერესებულია ქვეყნის სტაბილურობით. მას არა აქვს კონკრეტული ინტერესი ამა თუ იმ პარტიის გამარჯვებისა თუ დამარცხების.

# „გახარიამ ივანიშვილს სამაგიერო გადაუხადა“

## დავით ჭიჭინაძე: „გახარია არ იმსახურებდა იმას, რასაც მას უმზადებდნენ „ოცნებაში“

ნათია ხურცილავა

**პარტია „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო დავით, გიორგი გახარიას გადადგომა, როგორც ჩანს, სიურპრიზი აღმოჩნდა თავად „ქართული ოცნებისთვის“. როგორ ფიქრობთ, რეალურად რა მოხდა?***

– ყოველთვის ვამბობდი, რომ 20 ივნისის დარბევის შესახებ ბრძანება გიორგი გახარიას არ გაუცია. მაშინ მე ვიყავი დეპუტატი, პარლამენტში იყო გიორგი გახარიაც მოსული. ერთი კიბით დაბლა ვიდექი და ეზოში ვიყურებოდი, როდესაც პირველი გასროლა მოხდა. იქვე, ერთი კიბით ზევით გიორგი გახარია ყვირილით არკვევდა გამწარებული – ვინ ისროლა?! პირველ ეტაპზე ის არ იღებდა თავის თავზე ბრძანების გაცემას, მხოლოდ პასუხისმგებლობაზე საუბრობდა. ბიძინა ივანიშვილმა აიძულა გახარია, რომ საკუთარ თავზე აეღო ბრძანების გაცემა. მაშინ ვთქვი, რომ ეს ასე არ იყო და მოვითხოვდი მკაფიოდ რეალური მბრძანებლის გამცემის დასახელებას.

რაც შეეხება იმას, ახლა რაც მოხდა: გახარიამ შიდაბრძოლები მოიგო, როდესაც გარეთ გამოიტანა და საჯარო გახადა „ქართულ ოცნებაში“ არსებული დაპირისპირება. მან დაიწყო გაძლიერება და ამან სერიოზული დისკომფორტი შეუქმნა „ქართულ ოცნებას“. სწორედ ამის გამოძახილი იყო ნიკა მელიას საკითხის გაცოცხლება. კობახიძემ გადაწყვიტა, რომ ამ საქმით კიდევ ერთხელ მოეცხო ჩირქი გახარიასთვის, მაგრამ გახარიამ კოვზი ნაცარში ჩაუგდო. რასაკვირველია, ჭკუით აჯობა ყველას. ყველაზე კარგად სიტუაციას გახარია გრძნობდა. ის ძალიან მარტივად მიხვდა, რომ მთელი ეს სქემა მის წინააღმდეგ იყო ამოქმედებული, თორემ რაში აწყობდათ ახლა ნიკა მელიას დაჭერა?! ამიტომ აბსოლუტურად სწორი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა. ეს იყო გახარიას მხრიდან პოლიტიკოსის გადაწყვეტილება.

***– კობახიძე უკვე დაიმუქრა, რომ კანონს აღასრულებს.***

– კობახიძე იქნება „ქართული ოცნების“ მესაფლავე. ვინ გააფორმებს ამ კაპიტულაციას, უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს. დღეს „ქართული ოცნების“ პრემიერობა ნიშნავს მესაფლავეობას. სახეზეა, რომ ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური პროექტი, დაასრულა. მმართველმა პარტიამ საკუთარი დასასრული თვითონ გააფორმა ერთპარტიულ პარლამენტში, როდესაც ბოლშევიკური გადაწყვეტილება მიიღო.

***– როგორ ფიქრობთ, გახარიას გადაწყვეტილება ივანიშვილმაც კი არ იცოდა? დაბადების დღეზე სიურპრიზი მოუწყო?***

– ივანიშვილმა როგორც 20 ივნისი შესტენა გახარიას, ისე ახლა გახარიამ იხელთა დრო და სამაგიერო გადაუხადა.

***– გახარია სახლში წავიდა თუ გუნდს ჩამოაყალიბებს და პოლიტიკაში ჩაერთვება?***

– გახარია ამ განცხადებით პოლიტიკურად არ მომკვდარა, პირიქით, მას აქვს სრული ლეგიტიმაცია, რომ პოლიტიკაში იყოს, მაგრამ მისი სისუსტე ის არის, რომ მან ვერ შექმნა პოლიტიკური გუნდი. მის მიმართ არის სიმპათიები, მაგრამ მას არ ჰყავს გუნდი. პოლიტიკაში კი გუნდის გარეშე რთულია. ერთი ადამიანიც კი ვერ მოიძებნა „ოცნებაში“, რომელიც მასზე დადებით რამეს იტყოდა. თუმცა მას შეუძლია, გახდეს პერსპექტიული პოლიტიკური გუნდის საკმაოდ კარგი ლიდერი.

***– ამ საკითხზე აწარმოებდით მასთან მოლაპარაკებას?***

– არა. მე ყოველთვის ვამბობ იმას, რაც არის სიმართლე და რეალობის აღქმა არ უნდა დაკარგოს ადამიანმა. მიუხედავად ყველაფრისა, გახარია არ იმსახურებდა იმას, რასაც მას უმზადებდნენ. ამ კაცს თავისი კუთხურობის გამოც ვერ იტანდნენ.

***– როგორ, კუთხურობის გამო?***

– დიახ.

***– ფიქრობთ, რომ კობახიძესა და კალაძეს შორის დაპირისპირება ღიად წავა?***

– კალაძე, როგორც გახარია, „ოცნების“ გარეთ შეეცდება ახალი პოლიტიკური კონფიგურაციის შექმნას. კალაძე „ქართულ ოცნებას“ საფლავში ნამდვილად არ ჩაჰყვება, მეტ-ნაკლებად მისთვის მისაღებ, მე ვიტყოდი, თავისნაირ კორუმპირებულებს მოძებნის გარეთ, სადმე ოპოზიციაში.

***– ეს ყველაფერი ვადამდელ არჩევნებამდე მიდის თუ პირიქით?***

– ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია. ქვეყანა კრიზისშია. არჩევნებამდე ახალი პოლიტიკური ჯგუფების კონტურებიც გამოიკვეთება. სახელებისა და გვარების ცვლილებებით არაფერი გვეშველება. ახლა მშვიდად, პოლიტიკური კრიზისის განმუხტვითა და ქვეყნის რეალური მართვით ცივილიზებული სამყაროსკენ სწრაფვას უნდა დავუბრუნდეთ.

# მასობრივი ავარია ქარელი–გორის მონაკვეთზე

## 15 მანქანა დაიმტვრა

17 თებერვალს, ღამით, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ქარელი-გორის მონაკვეთზე მომხდარი მასობრივი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 15 ავტომობილი დაზიანდა და რამდენიმე ადამიანი მსუბუქად დაშავდა.

დასავლეთ საქართველოდან თბილისის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანა ევაკუატორს შეეჯახა. ამ დროს მაგისტრალის აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლებმა შეჯახების თავიდან ასაცილებლად მანევრირება ცადეს, თუმცა ლიპყინულის გამო რამდენიმე ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა 15-მდე ერთეული ავტომანქანა, რამდენიმე ადამიანმა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიიღო.

შემთხვევის შედეგად ავტობანზე მოძრაობა გარკვეული პერიოდით შეფერხდა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო.

# თბილისში სკვერში მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს



18 თებერვალს თბილისში, უზნაძის ქუჩაზე, სკვერში შუახნის მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით არის დაწყებული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილი უსახლკარო პირი, დაახლოებით 50 წლამდე მამაკაცია.

ის სკვერში სკამზე დამჯდარ მდგომარეობაში, გაყინული იპოვეს.

# ალეკო ელისაშვილი: „სააკაშვილს რევოლუცია უნდა და ამაში მთავარ მოკავშირედ „ქართული ოცნება“ ჰყავს“

– ღარიბაშვილი რომ გაიძახოდა, დავასრულებ ნაცმოძრაობასო, დასრულებულს ჰგავს ახლა ნაციონალური მოძრაობა?! აბა დააკვირდნენ, მოღონიერებულს ხომ არ ჰგავს?!

ამის შესახებ „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

მისი თქმით, „ქართული ოცნება“ თავისი ქმედებებით მიხეილ სააკაშვილის მოკავშირე გახდა.

– ეს არის სააკაშვილის თამაში, რომ აქ მოხდეს ესკალაცია და რევოლუცია. სააკაშვილს არანაირი რეფორმები, არანაირი ვადამდელი, არაფერი მსგავსი არ უნდა. მას უნდა რევოლუცია, რომ დაბრუნდეს და ვისი ჯავრიც დაუგროვდა ამ წლების განმავლობაში, უნდა, ყველაზე ჯავრი იყაროს და ამაში მთავარი მოკავშირე ვინ ჰყავს? – ოპოზიცია კი არა, „ქართული ოცნება“, რომელიც ასე ფეხდაფეხ დავალებას რომ მისცემ სახლში, რომ შეასრულოს, ასე ასრულებს ამ დავალებებს.

არ ვიცი, შეგნებულად აკეთებს თუ შეუგნებლად, მაგრამ ამ დღეების განმავლობაში რაც მოხდა, „ქართულმა ოცნებამ“ იხეირა იმით?! – არა.

რომელიმე პარტიის დასრულება კი არ უნდა იყოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მიზანი, სიღარიბის, უმუშევრობის დასრულება უნდა იყოს, კორონავირუსის დამარცხება უნდა იყოს და რა ქნა, რომ გაიძახოდა ღარიბაშვილი, როცა თავდაცვის მინისტრი ან პრემიერ-მინისტრი იყო, დავასრულებ ნაცმოძრაობასო, დასრულებულს ჰგავს ახლა ნაციონალური მოძრაობა?! აბა მივიდნენ ერთი, დააკვირდნენ, დასრულებულს ჰგავს? მოღონიერებულს ხომ არ ჰგავს?! ნადირს რომ სისხლის სუნი ეცემა, ასე აღტყინებულს ხომ არ ჰგავს, დღეს განსაკუთრებით. ჰოდა, მოეშვას ეფემერულ რაღაცებს და ქარის წისქვილებთან ბრძოლას „ქართული ოცნება“, დაეშვას დედამიწაზე და, ეხატება თუ არა გულზე ნაციონალური მოძრაობა ან დანარჩენი ოპოზიცია, დასხდნენ, დაილაპარაკონ, – განაცხადა ელისაშვილმა.




**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ.: 598-43-98-57**

# „ივანიშვილს სანქციები არ ასცდება“

## ბეჟან ნათელაშვილი: „დღეს საქართველო ორადაა გაყოფილი. ხელისუფლება ერთ მხარესაა, ხალხი – მეორე მხარეს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერ ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო პატიმრობით შეეცვალა. გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლომ მიიღო. მანამდე მას პარლამენტმა სადეპუტატო იმუნიტეტი შეუჩერა. ამასთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის წევრ ბეჟან ნათელაშვილს.**



***– ნიკა მელიას სასამართლოს გადაწყვეტილებით პატიმრობა შეეფარდა. მანამდე მას პარლამენტმა შეუჩერა იმუნიტეტი. ნიკა მელიას ინფორმაციით, მას ზოგიერთი დეპუტატი, მაგალითად, ვასილ ჩიგოგიძე, ჰპირდებოდა, რომ მისთვის იმუნიტეტის მოხსნას მხარს არ დაუჭერდა. ჩიგოგიძე ამას უარყოფს. ნიკა მელიას მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას რომ დაგმობთ, ეს გასაგებია. პარლამენტში მომხდარზე რას იტყვით?***

– აქედანაც ჩანს, რომ ეს პარლამენტი არ არის. ესაა მონების ჯგუფი. პარლამენტი რომ ერთპარტიულია, ესეც ცხადია. ეს მონები დასვეს იმისთვის, რომ დაიხმარონ ქვეყნის ძარცვაში. ეს „ქართული ოცნება“ ხომ ძარცვის მეტს არაფერს აკეთებს! მეცხრე წელიწადია, ეს ბანდიტები ფულს შოულობენ, ქვეყანას ანგრევენ, ხალხს კი აშიმშილებენ. ამ კრიმინალურმა კლანებმა ისე გააფუჭეს ყველაფერი, რომ მეტ-ნაკლებად შეძლებულ ადამიანებსაც კი გაუჭირდათ. არაფერს ვამბობ იმ მოსახლეობაზე, რომელიც სიღატაკის ზღვარზე იმყოფება. ეს არის ყველანაირად კრიმინალური ხელისუფლება, იგივე ბანდა. ამათ ყველაფერზე ფული იშოვეს. ფულის გამო საყდრისიც ააფეთქეს. არ გახსოვთ, როგორ მოვიდნენ ხელისუფლებაში?! – ბავშვის სიკვდილით.

***– ბარბარე რაფალიანცზე საუბრობთ?***

– რასაკვირველია. 9 წლის წინ საარჩევნოდ ათი თვის ბავშვის მოკვლა დააბრალეს ნაციონალურ მოძრაობას. თუ ეს მართალია, რატომ არ გამოიძიეს? რატომ არავინ დასაჯეს? ხომ გამოჩნდა, რომ თვითონ მოუკლავთ ის ბავშვი! ამ ზაფხულს მსხვერპლი იყო თამარ ბაჩალიაშვილი. გვეგონა, რომ ის ბოლო იქნებოდა, მაგრამ ესენი ისევ ბოგინობენ და არ ვიცით, კიდევ რას ჩაიდენენ. სამი ძალოვანი უწყება ერთნაირად აღწერს ბაჩალიაშვილის ამბავს და გვარწმუნებს, თითქოს ეს თვითმკვლელობა იყო. ამისი არ გვჯერა. თუ თავის მოკვლა უნდოდა, იმ დროს შინ მარტო იყო და სადღაც ტყეში წასვლა და მანქანის ფანჯრების ჩაკეტვა არ დასჭირდებოდა. ამ ისტორიიდანაც მტკიცდება, რომ ყველა ძალოვან უწყებას ერთი პატრონი და დავალებების მიმცემი ჰყავს.

***– ეს ერთი პატრონი ანუ არაფორმალური მმართველი პოლიტიკას გაეცალა.***

– ეს ხომ ივანიშვილის გამოცდილი ტრიუკია! ვის სჯერა მისი წასვლისა?! ერთხელაც ხომ გადადგა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან, მაგრამ მერე მობრუნდა.

***– მაშინ მან საზოგადოებრივ სექტორში გადაინაცვლა და საჯარო სივრცეშიც ჩნდებოდა ხოლმე. ახლა საერთოდ არ ჩანს.***

– არ ჩანს, მაგრამ ყველაფერს მართავს. ახლა უარესი მდგომარეობაა და გაეცალა სიტუაციას. საკუთარი დაცვის ყოფილი უფროსი ჰყავს ქვეყნის შს მინისტრად და არაფერში ჩაერევა?! სხვადასხვა არხზე აჩვენებენ ხოლმე ერთ პოლიციელს, რომელიც არბევს სხვადასხვა ადგილას შეკრებილ მოსახლეობას. ეს ხალხი გამოხატავს პროტესტს. ეს პოლიციელი ამათი სახეა. ესენი ხალხს ვერ შეაჩერებენ.

***– რას გულისხმობთ?***

– ჩაიდანი რომ ადუღდება, წყალი ან ორთქლის სახით გამოვა, ან ამდუღებელს დამდუღრავს. ჩვენი ხალხის დაგროვილი პროტესტიც გადმოიფრქვევა. საქართველოს ბევრი შიდა და გარე დამპყრობელი ჰყოლია და ადრე თუ გვიან ყველა დამპყრობელი იღებდა სამაგიეროს. ნიკა მელიას დაკავების გადაწყვეტილებას წინ უძღოდა გაყალბებული არჩევნები, ასევე – ხალხის უფლებების დარღვევა, გამოხატვის თავისუფლებით დაწყებული, შრომითი უფლებით დამთავრებული. ხელისუფლებამ უკვე ყველას სულში ჩაგვაფურთხა. ეს არ შერჩება. განსაკუთრებით ამაზრზენია, რომ ესაა პუტინის ვასალი ხელისუფლება, რომელიც ანგარიშს უსწორებს იმათ, ვინც გამოდის პუტინის რუსეთის, კოლექტიური გავრილოვების წინააღმდეგ. ივანიშვილი რუსეთის ვასალია. მისი ქვეშევრდომები არიან გახარია, კობახიძე, თალაკვაძე და ყველა.

***– უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ ოპოზიციამ უკვე დაიწყო ის, რაც გაზაფხულზე ჰქონდა დაგეგმილი და რის შესახებაც ისინი მოსახლეობას აფრთხილებდნენ.***

– ეგ უმრავლესობის წევრები კი არა, ზომბები და მუტანტები არიან. ახლად დაბარულ მიწაში რომ მატლები ირევიან, იმათ მეტი სარგებლობა აქვთ, ვიდრე ამ ვაიდეპუტატებს. მაგათ განცხადებებზე საპასუხოდ დროის დაკარგვა არ ღირს. ივანიშვილი კი ვერ დაიმალება. მას სანქციებიც არ ასცდება.

***– არ იზიარებთ მოსაზრებას იმაზე, რომ მან თავისი პოლიტიკიდან წასვლით დასავლეთიდან გარკვეული გარანტიები მიიღო და სანქციებისაგან თავი დაიზღვია?***

– არა. არავინაა ისეთი გულუბრყვილო, რომ დაიჯეროს ივანიშვილის წასვლა და ისიც, რომ მას ყველაფერი ეპატია. საქველმოქმედო ფონდში ქონების გადატანაც ვერ უშველის.

***– შრომის უფლების დარღვევა ახსენეთ. თავის დროზე, როცა მაშინდელმა მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა გამოგვიცხადა, რომ გერმანიაში დასაქმების შანსი გვეძლევა, ამან მტკივნეული რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში. გერმანიამ ორიოდე წლის წინ გახსნა თავისი შრომითი ბაზარი ჩვენნაირი ქვეყნებისთვის. ამ დღეებში გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო დროებითი სამუშაოს შესრულების სურვილი უამრავმა ადამიანმა გამოთქვა. დიდი გადინება იქნება?***

– საქართველოდან ხალხის გადინება ახლა არ დაწყებულა. ხალხს ადრეც უჭირდა და უცხოეთში მიდიოდა. ახლა ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობა გაუსაძლისი გახდა. გერმანიის ამ ინიციატივამ წყალი დაასხა ივანიშვილის სურვილებზე. ივანიშვილს უნდა საქართველო ქართველების გარეშე.

***– რატომ უნდა უნდოდეს უქართველებო საქართველო?***

– ასე უფრო კარგად შეასრულებენ გეგმებს, უფრო კარგად წარმართავენ ბიზნესს. საყდრისის მსგავს ძეგლებზე ხმას არავინ ამოიღებს. მმართველ კლანებს აქვთ სამშენებლო ბიზნესი. იმდენი მაღლივი კორპუსი ააშენეს, ჩვენს ხალხს ფულიც რომ ჰქონდეს, ყველას ვერ იყიდის. ჩამოასახლებენ უცხოელებს და გაყიდიან უძრავ ქონებას. სტატისტიკის თანახმად, საქართველოში ძირითადად არაბები და ირანელები იძენენ ქონებას და სახლდებიან. ახლა სხვა დროა, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ არაბები და ირანელები ჩვენი ისტორიული მტრები არიან. დღეს ჩვენი მთავარი მოკავშირე არის აშშ. ამ ხელისუფლებას უნდა საქართველო ქართველების გარეშე, მაგრამ არ გამოუვა. შალვა რამიშვილისა და ლაშა ნაცვლიშვილის პროპაგანდა არ უშველის. მაგათ სამარცხვინო აგიტაციას არავინ იჯერებს.

***– ხალხის გადინებამ რომ მასობრივი ხასიათი მიიღოს?***

– სანამ ეს კრიმინალური ხელისუფლება იქნება, ხალხის გადინება არ შეწყდება. მოსახლეობა აუცილებლად გამოვა ქუჩაში და როგორც ნიკა მელიას საკითხს, ისე სხვა უმსგავსობას გააპროტესტებს. 25 თებერვალსა და 31 მარტს დანიშნულია აქციები. ამის შემდეგ, ვფიქრობ, მოძრაობა არ შეწყდება. ივანიშვილი და მისი ხალხი, ასე 300 კაცი, რომელიც პასუხისმგებელია ჩადენილ დანაშაულებზე, გლდანის ციხეში მოხვდებიან.

***– არ ფიქრობთ, რომ ხალხის ნაწილს ისედაც აქვს შიში ნაციონალური მოძრაობის მიმართ, ასეთი მუქარებით კი უფრო დაშინდება?***

– არა. დღეს საქართველო ორადაა გაყოფილი. ხელისუფლება ერთ მხარესაა, ხალხი კი – მეორე მხარეს. უფრო ზუსტად, ერთ ბანაკშია ქოცკრიმინალური ბანდა. ის კრიმინალურია როგორც თავისი ქმედებებით, ისე კრიმინალურ სამყაროსთან თავისი კავშირებით. მეორე ბანაკშია საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი, გამწარებული მოსახლეობა, ოპოზიცია. საქართველოს ბევრი რამ მოუნელებია და ამასაც გადაიტანს. მთავარია, იყოს ხალხის ერთობა და აქტიურობა. ამ ქოცბანდის წინააღმდეგ წამალია მრავალათასიანი მიტინგები და მსვლელობები. ამ ბანდას ხალხის სიმრავლე აფრთხობს. ასევე ამ ბანდას ეშინია საგარეო რეაქციის. საგარეო რეაქცია მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, თუ აქ, შიგნით გვექნება მძლავრი პროტესტი. ეს ადამიანებმა უნდა შეიგნონ.

## ანრი ოხანაშვილი: „მელიას დაკავება აუცილებლად აღსრულდება“



კანონი აღსრულდება აუცილებლად. რაც შეეხება დროს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, არაფერი არ ირღვევა, კონკრეტულად რა ვადაში უნდა მოხდეს აღსრულება, გაწერილი არ არის.

ეს განცხადება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა ნიკა მელიასთან დაკავშირებით გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, სასამართლოს გადაწყვეტილება აუცილებლად აღსრულდება.

– ვთანხმდებით, რომ კანონს ყველა უნდა დაემორჩილოს, პოლიტიკოსი იქნება თუ სხვა ჯგუფის წარმომადგენელი. რაც შეეხება, როდის უნდა აღსრულდეს, ამ კონკრეტული პოლიტიკური მოცემულობიდან იქნა გადაწყვეტილება მიღებული, რომ დროებით გადაიდოს აღსრულება, ვინაიდან შეიქმნა სიტუაცია, როცა პრემიერ-მინისტრი გადადგა და ნდობა უნდა გამოვუცხადოთ ახალ პრემიერ-მინისტრს. შესაბამისად, კანონი აღსრულდება აუცილებლად. რაც შეეხება დროს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, არაფერი არ ირღვევა, ვადა კონკრეტული, რა ვადაში უნდა მოხდეს აღსრულება, გაწერილი არ არის.

საუბარი იყო, რომ გონივრულ, უმოკლეს დროში ეს გადაწყვეტილება აღსრულდება. როდის აღსრულდება, კონკრეტული უწყების წარმომადგენლები გაცნობებენ, – განაცხადა ოხანაშვილმა.

## „ვაფასებთ ხელისუფლებისა და ოპოზიციის თავშეკავებას“

### აშშ-ის საელჩოს განცხადება



საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო აფასებს ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ გამოვლენილ თავშეკავებას ნიკა მელიას ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

როგორც საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველო სერიოზული გამოწვევების წინაშეა და ქართველი ხალხის ინტერესებშია, რომ ეს პოლიტიკური კრიზისი სწრაფად და მშვიდობიანად მოგვარდეს.

„შეერთებული შტატების საელჩო აფასებს ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ გამოვლენილ თავშეკავებას ნიკა მელიას ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. აუცილებელია, რომ ყველამ იზრუნოს არსებული დაძაბულობის დეესკალაციაზე, რათა შესაძლებელი გახდეს შემდგომ ნაბიჯებზე შეთანხმება. შეერთებული შტატები კვლავ მზად არის, ხელი შეუწყოს კონსტრუქციული დიალოგის გამართვას, რათა მხარი დავუჭიროთ საქართველოში მშვიდობას, სტაბილურობასა და დემოკრატიულ პროცესს.

საქართველო ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშეა. ქართველი ხალხის ინტერესებშია, რომ ეს პოლიტიკური კრიზისი სწრაფად და მშვიდობიანად მოგვარდეს. შეერთებული შტატები მზადაა, დაეხმაროს საქართველოს, დაუბრუნდეს სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის შემცირებასა და ეკონომიკის აღდგენას“, – ნათქვამია განცხადებაში.

## „ღარიბაშვილის დანიშვნით ხელისუფლება გვაჩვენებს, რომ მაგარბიჭობანას თამაშს აპირებს“

სამწუხაროდ, ღარიბაშვილის დანიშვნით ხელისუფლება გვაჩვენებს, რომ იქ პოლიტიკურ აგონიაში არიან, კუდის მოქნევასა და მაგარბიჭობანას თამაშს აპირებენ.

ამის შესახებ პოლიტიკის ექსპერტმა გია ხუხაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

– ერთ-ორ სისულელეს კიდევ ჩაიდენენ და ტლაპოში ჩახტებიან, მაგრამ ეს საბოლოო ჯამში მათაც ძალიან დააზიანებს, რადგან მათი მომავალი კიდევ უფრო პრობლემატური იქნება, ვიდრე შეიძლება, ყოფილიყო, მაგრამ ისინი სხვა გზას ვერ ხედავენ, – განაცხადა ხუხაშვილმა.

მისი თქმით, ღარიბაშვილის რიტორიკა სერიოზულად განსახილველი არ არის.

– მისი, ამ მაჩოს განცხადებების ან ადრე ვის სჯეროდა – გვახსოვს, რომ ერთხელ გამოვიდა და განაცხადა იბერიას გავაბრწყინებო და სამ დღეში ყურებჩამოყრილი გამოვიდა – გადავდექიო. მის განცხადებებს, არა მგონია, რომ სერიოზულად უნდა ვიხილავდეთ. მას ეტყვიან, დაჯექი – დაჯდება, ეტყვიან, ადექი – ადგება. ასეთი პერსონაჟია ქართულ პოლიტიკაში და არა უმეტეს ამისა.

აქედან გამომდინარე, პროცესი არის ასეთი, რომ „ქართული ოცნება“ არის დღეს ჰაერში დარჩენილი. ელექტორალური ბაზა, საყრდენი აღარ აქვთ, ბოლო ბურჯი, რომელზეც იდგა „ქართული ოცნება“ – ეს იყო გახარია, – განაცხადა ხუხაშვილმა.

## „პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის შანსი გაჩნდა“

პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი ბადრი ჯაფარიძე ამბობს, რომ გიორგი გახარიას გადადგომამ კრიზისიდან გამოსვლის გზები გააჩინა.

როგორც ბადრი ჯაფარიძე ამბობს, ყოფილი პრემიერ–მინისტრის განცხადებამ გააჩინა განცდა, რომ „ქართულ ოცნებაში“ არსებობს ზომიერი ფრთა, რომელსაც თავად გახარია წარმოადგენდა.

– მე გამიჩნდა განცდა, რომ გახარიას ამ ნაბიჯმა შექმნა შანსი, ჩვენ გამოვიდეთ პოლიტიკური კრიზისიდან რაც შეიძლება მალე. ეს განცდა მე მყარად მაქვს, იმიტომ რომ გახარიამ ცალსახად მიანიშნა იმაზე, რომ მისივე გუნდში, „ქართულ ოცნებაში“, არსებობს რადიკალური ფრთა, რომელიც ესკალაციის მომხრეა და არსებობს ზომიერი ფრთა, რომელსაც წარმოადგენდა გახარია.

იმედი მაქვს, გახარია არ იყო მარტო „ქართულ ოცნებაში“ და არიან იქ პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსები, რომლებიც აცნობიერებენ, რომ ნებისმიერი გაწელვა ამ პროცესის, სიჯიუტე, არის მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანი ჩვენი ქვეყნისთვის და „ქართული ოცნებისთვის“, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის პრიორიტეტია, რომ ეს არის ზიანის მომტანი ჩვენი ქვეყნისთვის, – ამბობს ბადრი ჯაფარიძე.

აქვე ბადრი ჯაფარიძე აცხადებს, რომ გიორგი გახარიას გადადგომამ შექმნა გარემო, რომ საჭიროა დიალოგის განახლება ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის.

## გია ვოლსკი: „გიორგი გახარია იყო ღირსეული პრემიერი. გული მწყდება“

გიორგი გახარიას მიერ თანამდებობიდან წასვლა გიორგი ვოლსკისთვის მოულოდნელი იყო. ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ „დღის კურიერის“ ეთერში განაცხადა.

როგორც უმრავლესობის წევრი ამბობს, გიორგი გახარიას გადადგომის გამო გული სწყდება.

– ჩემთვის, პირადად, მოულოდნელი იყო, მართალი გითხრათ, იმიტომ რომ, იმდენად ნათელი იყო და იმდენად კითხვის გარეშე ჩაიარა ჩვენმა კონსულტაციებმა უმრავლესობაში იმასთან დაკავშირებით, უნდა შემდგარიყო თუ არა სამართლიანი გადაწყვეტილება საქართველოში, რომ მართალი გითხრათ, არ მოველოდი. თუნდაც მისი განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, ადვილად შეიძლება დავასკვნათ, რაზე იყო საუბარი, სად არის განსხვავება. ირაკლი კობახიძემაც ილაპარაკა ამასთან დაკავშირებით და დამატებითი კომენტარი ამ თემასთან მიმართებით არ გამაჩნია. ერთადერთი, შემიძლია დავამატო, რომ გული მწყდება, – განაცხადა გია ვოლსკიმ.



გია ვოლსკი ამბობს, რომ გიორგი გახარია ღირსეული პრემიერ-მინისტრი იყო, რომელსაც საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავდა.

– მინდა გითხრათ, რომ გიორგი გახარია პირველი ნომერი იყო და ღირსეული პრემიერი, რომელსაც საკმაოდ მყარი გუნდი ჰყავდა ჩამოყალიბებული, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით ამ კრიზისის მართვის პერიოდში იყო საკმაოდ ეფექტური.

რეალურად, ვინც გინდა იყოს, გინდა ბიძინა ივანიშვილი, გინდა გიორგი გახარია, ირაკლი ღარიბაშვილი ან ნებისმიერი ლიდერი, რასაკვირველია, არის კიდევ საგანგებოდ მნიშვნელოვანი, რამდენად არის მხარდაჭერილი და რა ფუნდამენტი აქვს შექმნილი თავად გუნდში. ვერ იქნებოდა გიორგი გახარია ამდენად კარგი, რომ არ ჰქონდეს ის რესურსი მოზიდული, რასაც „ქართული ოცნების“ გუნდი წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, რომ არა ეს ძირითადი საკითხიდან გადახრა, პრაქტიკულად, ჩვენ არ გვქონია არანაირი აზრთა სხვადასხვაობა არც ერთ საკითხზე, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

# „იმედია, გახარია მალე კიევში არ ჩაფრინდება სააკაშვილთან სათათბიროდ“

გახარიას გადადგომამ მისი მომხრეებიც დააბნია. ისინი სოციალურ ქსელში ერთმანეთს პასუხობდნენ და „ოცნების“ შიგნით არსებულ შიდა დაპირისპირებაზეც ალაპარაკდნენ.

„ოცნების“ მხარდამჭერი ჟურნალისტები ერთ საკითხზე თანხმდებოდნენ, რომ გახარიამ გუნდი გაწირა.

ჟურნალისტმა გელა ზედელაშვილმა ფეისბუქში დაწერა:

„ალბათ, დამეთანხმებით, ეს იყო ძალზედ უცნაური გადადგომა – უდროო და არალოგიკური. ფაქტობრივად, ტიპი გამოვიდა და მოგვახსენა, ნიკანორ მელიას ვერ დავიჭერ, კანონს ვერ აღვასრულებ, სულ კარგად ბრძანდებოდეთო.

არადა, ასე არ ხდება, პრემიერ-მინისტრები ასე უპასუხისმგებლოდ არ იქცევიან (არ უნდა იქცეოდნენ).

მისი განცხადებით, გახარია ნაციონალური მოძრაობის მძევალია:

„რას იზამს გადამდგარი ბატონი გახარია? ყველანაირად შეეცდება, თავი გმირად გამოაცხადოს. ბუნებრივია, რაც გახარიამ გააკეთა, ამის გამო ახალი მომხრეებიც გამოუჩნდებიან, ისინი ახალი ტიპის გმირად შერაცხავენ და იმის მტკიცებასაც დაიწყებენ, რომ საღად იაზროვნა ნიკანორ მელიას დაპატიმრება-არდაპატიმრებასთან დაკავშირებით, რომ მან დაიკავა სახელმწიფოებრივი პოზიცია, ხელი არ შეუწყო პოლიტიკური კრიზისის უფრო გაღრმავებას და ასე შემდეგ. გახარიას ქებას, რა თქმა უნდა, დაიწყებენ ნაციონალები და მათთან გათანაბრებული პირები.

ის ვერ გახდება გმირი, რადგან... ბოლო დროის განმავლობაში მართავდნენ გარე ძალები და მიხეილ სააკაშვილი.

კომპრომატები, კომპრომატები და კომპრომატები!

სამწუხაროდ, სააკაშვილის ხროვამ რამდენიმე მსუყე კომპრომატი მოიპოვა. გარკვეულ წრეებში ჭორიც კი დადიოდა, რამდენიმე კომპრომატი პირად ცხოვრებას ეხებაო.

გიორგი გახარიამ ბოლო მისია ველარ შეასრულა, რადგან გუნდის ერთიან, მტკიცე პოზიციას წააწყდა. წავიდა მეტად საპასუხისმგებლო მომენტში. გამოსავალი იპოვა, ოღონდ თავისთვის, ქვეყანა დაიკიდა.

იმედია, მალე კიევში არ ჩაფრინდება სააკაშვილთან სათათბიროდ.

ვწუხვარ, დამპალმა ნაცებმა ესეც „დაავერბოვკეს“!

არ მითხრათ, არ გვჯერაო. ასეა ეს!“

გახარიას გადადგომის შესახებ სხვა ვერსიას ავითარებს დარეჯან ლიპერტელიანი:

„ყოფილი პრემიერის გადადგომა, ჩემი აზრით, ორმა მთავარმა გარემოებამ გამოიწვია: 1) როცა სუსი კორუფციულ საქმიანობასა და მასში გარეულ ჩინოვნიკებს აკავებდა, ამით უკანონო შემოსავლების გამოაშკარავებით თავის გავლენის სფეროებსაც აფართოვებდა, ასევე გომელაური, გავლენიანი უწყების ხელმძღვანელი, კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ებრძოდა, ამასობაში ეს ორი უწყება ძლიერდებოდა და გავლენის სფეროებს აფართოებდა. ამ ორი უწყების ეფექტური მუშაობით ყოფილი პრემიერის ჩანაფიქრი ფულის ადვილად შოვნის შესახებ დღითი დღე მცირდებოდა და, შესაბამისად, კორუფციული სქემების დალაგება აწ უკვე ყოფილ პრემიერსა და მის გარემოცვას აღარ გამოსდიოდათ.

გავრცელებული ინფორმაციით, ნიკა მელიას მიმართ ლოიალური დამოკიდებულება ღირსეულ პრემიერს 1 მილიონ აშშ დოლარად შეუფასებია.

რატომ, ბატონო გახარია, დავიჯეროთ, პოლიტიკურ სეილში მოყვა მთელი გუნდი და ასე იაფად და ასე ადვილად მიჰყიდეთ ეშმაკს სული?!...



## ნიკა მელია: „ერთადერთი გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია“



– ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ მივუსხდებით მოლაპარაკების მაგიდას ამ რეჟიმის წარმომადგენლებთან და განვიხილავთ საკითხს ახალი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა ნიკა მელიამ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი განცხადებით, ქვეყანას კრიზისიდან მხოლოდ ვადამდელი არჩევნები გამოიყვანს.

– ჩვენთვის უმთავრესია ქვეყანაში კანონის უზენაესობა. ჩვენთვის უმთავრესია, ქვეყანაში მოვიპოვოთ სამართლიანი არჩევნების უფლება, სადაც ერთხელ და სამუდამოდ ტარდებოდა პირუთვნელი არჩევნები და გამარჯვებულს დამარცხებული მიულოცავდა, სადაც ვსაუბრობდით ქვეყნის წარმატებაზე, განვითარებაზე, რაც შეუძლებელი იქნებოდა ოლიგარქიული რეჟიმის პირობებში. ეს იყო ჩვენი მთავარი წუხილი და სწორედ აქედან გამომდინარე ოპოზიციურმა პარტიებმა ამ მძიმე კრიზისული ვითარებიდან გამოსასვლელად დავსახეთ კონკრეტული მიზნები და ამოცანები, მივიღეთ 2020 წელს არჩევნებში მონაწილეობა.

ხალხის ნება გამოიხატა, თუმცა ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებამ არჩევნების შედეგები გააყალბა და მოიპარა, შესაბამისად, ცვლილებები ვერ განხორციელდა 2020 წლის 31 ოქტომბერს. ამის ნება-სურვილი საზოგადოებაში იყო.

დღესაც ჩვენ ერთგული ვართ იმ მართლაც გარდაუვალი გასატარებელი ცვლილებების. ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს მხოლოდ და მხოლოდ ახალი ვადამდელი არჩევნები, რომელიც წესრიგში მოიყვანს ყველა სფეროს. ამიტომ ჩვენ ახლა იმედს ვიტოვებთ, რომ მივუსხდებით მოლაპარაკების მაგიდას ამ რეჟიმის წარმომადგენლებთან ჩვენი ფასილიტატორების თანდასწრებით, რათა განვიხილოთ საკითხი ახალი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, – განაცხადა მელიამ.

## რატომ გადადგა გიორგი გახარია

### „მელიას დაპატიმრება სწორად არ მიმაჩნია“

პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია თანამდებობას ტოვებს. ამის შესახებ გახარიამ განცხადება 18 თებერვალს, დილით, გააკეთა.

როგორც გახარიამ განმარტა, მას გაუმართლებლად მიაჩნია ნიკა მელიას დაპატიმრება იმ პირობებში, როდესაც არსებობს პოლიტიკური ესკალაციის საფრთხე.

გახარიას თქმით, გადადგომის მიზეზია ის, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით გუნდთან შეთანხმებას ვერ მიაღწია.

– იქიდან გამომდინარე, რომ, სამწუხაროდ, ვერ მივაღწიე ერთობლივ აზრს ჩემს გუნდთან ერთად ამ საკითხთან დაკავშირებით, მივიღე გადაწყვეტილება, გადავდგე დაკავებული თანამდებობიდან. მინდა მჯეროდეს, რომ ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში პოლარიზაციის შემცირებას, რამეთუ დარწმუნებული ვარ, პოლარიზაცია და დაპირისპირება ჩვენ შორის ჩვენი ქვეყნის მომავლის ყველაზე დიდი რისკია, – აღნიშნა გახარიამ.

გუშინვე, მოგვიანებით, გიორგი გახარიამ თავისი გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ განმარტა.

„მჯერა, რომ ქვეყნის შიგნით დაპირისპირება საფრთხეს უქმნის საქართველოს დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების მომავალს. ამიტომ მე განვაცხადე გადადგომის შესახებ იმ იმედით, რომ შევამცირებ პოლარიზაციას და მოვახდენ სიტუაციის დეესკალაციას“, – დაწერა გიორგი გახარიამ ტვიტერში.

პრემიერ-მინისტრს გადადგომისთანავე უფლებამოსილება უწყდება. გადამდგარია მთავრობაც, რომელიც მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე განაგრძობს.

პარლამენტს 2-კვირიანი ვადა აქვს, რომ ნდობა ახალ პრემიერ-მინისტრსა და მის მიერ შეთავაზებულ კაბინეტს გამოუცხადოს. ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

თუ პარლამენტმა მთავრობას დადგენილ ვადაში ნდობა არ გამოუცხადა, პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებს.

## „წესრიგს ძალიან მალე აღვადგენთ“

### „ოცნებამ“ პრემიერობის კანდიდატად ირაკლი ღარიბაშვილი დაასახელა

18 თებერვალს, გიორგი გახარიას გადადგომიდან რამდენიმე საათში. „ქართულმა ოცნებამ“ პრემიერმინისტრობის კანდიდატად თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაასახელა. ამის შესახებ ცნობილი „ქართული ოცნების“ ოფისში პოლიტსაბჭოსა და უმრავლესობის სხდომის დასრულების შემდეგ გახდა.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის განცხადებით, მმართველ გუნდს, ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურის გარდა, სხვა კანდიდატებზე არ უმსჯელია.

– გუნდის წევრთა უმრავლესობისთვის პრემიერ გახარიას გადადგომა მოულოდნელი იყო, გარდა რამდენიმე ადამიანისა, რომლებთანაც მას ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული კომუნიკაცია ჰქონდა, ვიდრე განცხადებას გააკეთებდა. საქმის კურსში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი ვიყავით.

ამავდროულად, სამწუხაროდ, ქვეყანაში არის ისეთი პოლიტიკური ძალა თავისი რეიტინგითა თუ მხარდაჭერით, რომელიც ცდილობს, პოლიტიკური კრიზისი შექმნას და ქვეყანა ქაოსში ჩაითრიოს. ამიტომ ჩვენ სწრაფი გადაწყვეტილების მიღება გვმართებს.



გიორგი გახარიას განცხადებიდან ჩვენ ძალიან მალე დავიწყეთ ამაზე ფიქრი. პირველივე წუთებიდან, როდესაც ამაზე მსჯელობა დავიწყეთ, ერთ-ერთი გამოკვეთილი კანდიდატი ირაკლი ღარიბაშვილი იყო, შემდეგ პოლიტსაბჭოს ფორმატშიც მასზე იყო საუბარი. პრაქტიკულად, ლიდერები ამაზე იყვნენ ჩამოყალიბებული.

აქვე გეტყვით, რომ სხვა კანდიდატთან დაკავშირებით არ გვიმსჯელია. პოლიტსაბჭოს მხრიდან ერთხმად იყო მხარდაჭერა და შემდეგ, როგორც გითხარით, უმრავლესობის მხრიდანაც, – განაცხადა მდინარაძემ.

განცხადება ირაკლი ღარიბაშვილმაც გააკეთა.

– ჩვენთვის ყველასთვის ემოციური დღეა. ამის მიუხედავად, ჩვენმა გუნდმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება და მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ჩვენი პარტიის თავმჯდომარესა და მთლიან გუნდს ჩემი დასახელებისთვის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე.

ბუნებრივია, ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა და არის უდიდესი პატივი, რომ დამტკიცების შემთხვევაში მეორედ ვიყო ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებობს უამრავი გამოწვევა, პირველ რიგში ეს არის კოვიდპანდემია, უმუშევრობა, ეკონომიკური სიდუხჭირე და მოსახლეობის მძიმე მდგომარეობა, რაც, ბუნებრივია, საჭიროებს სწრაფ გადაწყვეტილებებს. ამისთვის ჩვენ ყველანი ვართ მოწოდებული, რომ სწრაფად მოვუგვაროთ ჩვენს მოსახლეობას პრობლემები.

ძალიან მალე აღვადგენთ წესრიგს და იმ წონასწორობას, რომელიც აუცილებელია ქვეყანაში იმისთვის, რომ ქვეყანამ გააგრძელოს ნორმალურად, კონსტიტუციის ფარგლებში ფუნქციონირება. ჩვენ ერთიანი ძალისხმევით ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს კიდევ უფრო ძლიერი, – განაცხადა პრემიერობის კანდიდატმა.

## ზილფიმიანი: „ღარიბაშვილს ევროსოცები მხარს დავუჭერთ“

– „ევროპელი სოციალისტები“ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე „ქართული ოცნების“ მიერ პრემიერად ირაკლი ღარიბაშვილის წარდგენისას მის კანდიდატურას მხარს დაუჭერენ.

ამის შესახებ დავით ზილფიმიანმა განაცხადა.

– თუ ჩვენ შევაფასებთ მის მოღვაწეობას 2012 წლის შემდეგ, ღარიბაშვილი ახალგაზრდა და ენერგიული ადამიანია და დრო ჰქონდა, რათა კიდევ ერთხელ გადაეფასებინა თავისი შესაძლო ქმედებები. ვფიქრობ, ეს საუკეთესო არჩევანია, ამიტომ ჩვენ მას მხარს დავუჭერთ, – თქვა პარტიის პოლიტსაბჭოს წევრმა დავით ზილფიმიანმა.




## სუბარი: „ვერ გავიგე, გახარია რატომ გადადგა“

– გიორგი გახარიას თანამდებობიდან გადადგომა პირადად ჩემთვის ძალიან მოულოდნელი და, გულწრფელად რომ გითხრათ, არასასიამოვნო იყო, – ეს განცხადება ჟურნალისტებთან საუბრისას „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა სოზარ სუბარმა გააკეთა.

მისივე თქმით, ის, რაც ხდებოდა, აბსოლუტურად კანონის ჩარჩოში იყო და პოლიციამ ზუსტად იცოდა, როდის და როგორ ემოქმედა.

– ლაპარაკი არ იყო პროცესის ხელოვნურად აჩქარებაზე ან შენელებაზე. გულწრფელად რომ გითხრათ, ვერ გავიგე, რატომ გადადგა, გარდა იმისა, რაც თვითონ თქვა. გუნდში რაიმე მსჯელობა ისეთი, მე რომ მიმეღო მონაწილეობა, არ ყოფილა. არც მგონია, რომ რაიმე



ყოფილიყო. შსს-მ ყველაზე კარგად იცის, როგორ უნდა მოხდეს პირის წარდგენა სასამართლოში, თუ დასაკავებელია – დაკავება. აქ არანაირი პოლიტიკური მდგენელი არ უნდა არსებობდეს, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

# სამ ჩრდილოკორეელ პროგრამისტს 1.3 მილიარდი დოლარის მოპარვა სურდა

შეერთებულმა შტატებმა სამ ჩრდილოკორეელ პროგრამისტს ბრალად დასდო მასობრივი ჰაკერული თავდასხმის განხორციელება, რისი მიზანიც, საერთო ჯამში, 1.3 მილიარდ დოლარზე მეტი ფულისა და კრიპტოვალუტის მოპარვა იყო.

ამის შესახებ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, ჰაკერების სამიზნე სხვადასხვა ქვეყნის ბანკები და კომპანიები იყო.

ბრალდების ოქმში აღნიშნულია, რომ სამმა პირმა ფული ჰაკერული თავდასხმის გზით მაშინ მოიპარა, როდესაც ჩრდილოეთ კორეის სამხედრო სადაზვერვო სამსახურისთვის მუშაობდა.

ჰაკერების მიერ მოპარული ფულის საერთო ოდენობა უცნობია, თუმცა, როგორც ჩანს, სერიოზულია, ვინაიდან მხოლოდ 2016 წელს და მხოლოდ „ბანგლადეშის ბანკიდან“ ჰაკერებმა, სავარაუდოდ, 81 მილიონი აშშ დოლარი მოიპარეს.

– ჩრდილოეთ კორეის ჯაშუშები კლავიშების გამოყენებითა და არა იარაღით, ნაღდი ფულის ტომრების ნაცვლად კრიპტოვალუტის ციფრული საფულეების მოპარვით, მსოფლიოს 21-ე საუკუნის ბანკის წამყვანი მძარცველები არიან, –



განაცხადა აშშ-ის გენერალური პროკურორის თანაშემწე ჯონ დემერსმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ნედ პრაისმა კი აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეის მავნე კიბერქმედებები შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს ემუქრება და ამ საკითხს ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია ჩრდილოეთ კორეის მიმართ აშშ-ის პოლიტიკის განსახილველ საკითხებს შორის შეიტანს.

გაეროს 2019 წლის ანგარიშის თანახმად, ჩრდილოეთ კორეამ კრიპტოვალუტის ბირჟებსა და ბანკებზე განხორციელებული კიბერთავდასხმების შედეგად, საერთო ჯამში, 2 მილიარდი აშშ დოლარი შეაგროვა.

# ქალი შეეცადა, მეუღლე ღალატში ემხილა და თავი სასამართლოში ამოყო

ინგლისის დედაქალაქ ლონდონის მკვიდრმა ცოლის წინააღმდეგ საჩივარი მას შემდეგ შეიტანა სასამართლოში, როდესაც ქალს მის ღალატში შეეპარა ეჭვი და მისი საბანკო საბუთების შემოწმება დაიწყო.





46 წლის ყოფილი ცოლ-ქმარი კარენ სანტი და ლოურენს სანტი ქორწინების ათი წლის განმავლობაში ლონდონში პოპულარული პაბების ქსელს ფლობდნენ.

2020 წელს წყვილი ერთმანეთს დაშორდა. კარენმა მეუღლის მასთან განქორწინების სურვილის შესახებ სექტემბერში სახლში შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ შეიტყო. ქალი ამან გაანაწყენა და მეუღლის ღალატზე მიიტანა ეჭვი. საკუთარი ეჭვების შესამოწმებლად მან დაიწყო მეუღლის კომპიუტერის, მიმოწერების და საბუთების შემოწმება, მათ შორის საბანკო ამონაწერების. მიღებული ინფორმაციის ნაწილი მან ფინანსურ მრჩეველს გადაუგზავნა.

ლოურენსმა ამის შესახებ დეკემბერში შეიტყო და ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა სასამართლოში კერძო ინფორმაციის არამართლზომიერად სარგებლობისთვის. მიმდინარე თებერვლის დასაწყისში ლოურენსმა მოითხოვა ყოფილი მეუღლისგან 90 ათასი ფუნტი სტერლინგის გადახდა მისი ანგარიშის და ადვოკატების ხარჯების ასანაზღაურებლად. რა თქმა უნდა, ამას არ დაეთანხმა მოპასუხე მხარის ადვოკატი, რომელმაც აღნიშნა, რომ მოთხოვნა უსაფუძვლო იყო და ამავე დროს მისი დაცვის ქვეშ მყოფს ასეთი თანხა არ გააჩნდა.

საბოლოოდ მოსამართლე ჯასტის ნიკლინმა დაადგინა, რომ კარენ სანტიმ ლოურენსის საადვოკატო ხარჯების 60 პროცენტი უნდა აანაზღაუროს, რაც 54 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

# ბელარუსში 2 ჟურნალისტს აქციის გადაღებისთვის 2–2 წელი მიუსაჯეს



ბელარუსის სასამართლომ ორ ბელარუს ჟურნალისტს პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების გადაღების გამო 2-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

დაპატიმრებულები პოლონური ტელეკომპანია ბელსატის თანამშრომლები არიან.

27 წლის კატერინა ანდრეევა და 24 წლის დარია ჩულცოვა საკუთარ ბინაში დააკავეს, საიდანაც ისინი ერთ-ერთი დემონსტრანტის გარდაცვალების გამო გამართული საპროტესტო აქციის გადაღებას აწარმოებდნენ.

ჟურნალისტები საპროტესტო აქციების ორგანიზებაში დაადანაშაულეს. ბრალდების მხარემ მტკიცებულების სახით ვიდეოკამერა, მიკროფონი, მობილური ტელეფონები და მეხსიერების ბარათები წარადგინა.

საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა ჟურნალისტების დაკავება დაგმეს.

ბელარუსის ოპოზიცია და საზოგადოების ნაწილი გასული წლის აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს არ ცნობს და ალექსანდრე ლუკაშენკოს გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციებს მართავს.

აქციების ძალადობრივი დარბევის შედეგად დღემდე 33.000-ზე მეტი ადამიანია დაკავებული.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მამაკაცის მიერ ერთ დოლარად ნაყიდი ნახატი ძვირადღირებული აღმოჩნდა



ეკვადორელის მიერ მეორადების ბაზრობაზე შეძენილი ნახატი ცნობილი მხატვრის ნამუშევარი გამოდგა, რომლის ფასი 10 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

2001 წელს სანტიაგო ტაუტმა ეკვადორში მეორადების ბაზრობაზე აბსტრაქტული ნახატი შეიძინა და მასში სულ რაღაც ერთი დოლარი გადაიხადა.

მოგვიანებით ის ინგლისში, ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ ოლდერშოტში გადავიდა საცხოვრებლად. ბაზრობაზე შეძენილი ნახატი მას 20 წელი ყუთში ჰქონდა მოთავსებული, სანამ გასულ წელს თავის 31 წლის ბრიტანელ მეუღლე დელის არ აჩვენა.

ნახატის ნახვის შემდეგ ქალმა განსაზღვრა, რომ მისი ავტორი ბრიტანელი მხატვარი ლი ჰადვინი იყო, რომელმაც თავისი ერთ-ერთი ნამუშევარი აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს 100 ათას დოლარად მიჰყიდა.

მან ნახატი შესაფასებლად ექსპერტს მიუტანა და აღმოჩნდა, რომ მისი ღირებულება 10 ათასი დოლარია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შიშველი დამნაშავე ოთხი დღე ნიანგებით სავსე ჭაობში იმალებოდა

შიშველი დამნაშავე პოლიციას ოთხი დღის განმავლობაში ნიანგებით სავსე ჭაობში ემალებოდა, რომელიც ჩრდილოეთ ავსტრალიის ტერიტორიაზე, ქალაქ დარვინის მახლობლად მდებარეობს.



კიბორჩხალების დასაჭერად წასულმა მეთევზეებმა ნიანგებით სავსე ჭაობის მახლობლად ხეზე 40 წლის ლიუკ ვოსკრესენსკი შენიშნეს, რომელიც შიშველი და ერთიანად ტალახში ამოსვრილი იყო.

მან მეთევზეებს უამბო, რომ აქ უკვე მეოთხე დღეა, იმყოფებოდა და ამ დროის განმავლობაში თავი მოლუსკების ჭამით გაჰქონდა.

– ვერ მივხვდით, თუ რატომ არ ეცვა ტანსაცმელი. შევეცადეთ გაგვერკვია, მაგრამ ის გაუგებრად ბოდავდა. ჩემმა მეგობარმა მას მოკლე შარვალი მისცა, – განაცხადა ერთ-ერთმა მეთევზემ.

ადგილობრივ სასამართლოში განაცხადეს, რომ ვოსკრესენსკი, რომელსაც ბრალად აქვს წაყენებული თავის მეგობარ გოგონაზე თავდასხმა, ქურდობა და უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, გირაოთი იყო პატიმრობიდან გათავისუფლებული. მან ამის შემდეგ ელექტრონული სამაჯური მოიხსნა და ტყეს შეაფარა თავი. ადრინდელ ბრალდებებს ახლა უკვე დაემატა გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების პირობების დარღვევა და ძებნაში ყოფნის დროს ადამიანზე თავდასხმა. მამაკაცმა ყველა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

# ქართველი წყალბურთელები ფლეი ოფში მესამე ადგილით გავიდნენ

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპზე კიდევ 2 მატჩი გამართა.

დეიან სტანოევიჩის გუნდმა ჯერ ბრაზილიის ნაკრები 12:8) დაამარცხა და ჯგუფში მე-3 ადგილი გაინაღდა, ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი კი ჩერნოგორიასთან გამართა და 9:11 დამარცხდა.





ეს იყო ჯგუფური ეტაპის ყველაზე რთული მატჩი – ჩერნოგორია საკმაოდ ძლიერი გუნდია და ეტყობოდა კიდეც, როგორ უჭირდათ დეიან სტანოიევიჩის შეგირდებს თამაშის მიმდინარეობისას, განსაკუთრებით შეტევით ფაზაში, რადგან ჩერნოგორიელები სწორი ტაქტიკით ახერხებდნენ ჩვენების მცდელობის ჩახშობას.

პირველი მეოთხედი ფრედ, 3:3 დასრულდა, მაგრამ იყო მომენტი, როდესაც ორი ბურთით ვაგებდით. დიდ შესვენებამდე მეტოქემ დაცვა კიდევ უფრო გააძლიერა და ტაიმი 6:4 მოგვიგეს.

შესვენების შემდეგი მეოთხედიც თანაბარი გამოდგა – გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს და დასკვნით პერიოდს ორბურთიანი ჩამორჩენით შევხვდით – 5:7.

მერე უკვე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ჩვენებს დაღლაც დაეტყოთ, ხუთი ბურთით ჩამოვრჩით და მატჩის ბედიც გადაწყდა. ბოლოს ჩერნოგორიაც მოეშვა და სხვაობა მხოლოდ შევამცირეთ – სხვა შანსი არ გვქონია.

საზოგადოება

# ვახტანგ მაჭავარიანი 70 წლისაა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გენადი როჟდესტვენსკისთან, რის შემდგომ გაემგზავრა ავსტრიაში და გაიარა სტაჟირება ვენის მუსიკალურ აკადემიაში პროფესორ კარლ ოსტერრაიხერის კლასში, რომელიც დასკვნით წერილში აღნიშნავს მის განსაკუთრებულ სადირიჟორო ნიჭს და რომ მის სამშობლოს შეუძლია, იამაყოს მისით.

იუბილარ ხელოვანს მიეცა საშუალება, არჩეული ყოფილიყო ვენის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის, ლეგენდარული მაესტროს ლორინ მააზელის ასისტენტად ვენის ოპერაში, რომელმაც შემდგომ ბრწყინვალე სარეკომენდაციო წერილი დაწერა ახალგაზრდა დირიჟორის პროფესიონალიზმისა და ნიჭის შესახებ.

მალევე ვახტანგ მაჭავარიანი მიწვეულ იქნა მსოფლიო დონის, პეტერბურგის „მარიას“ სახელობის თეატრის დირიჟორად, სადაც 8 წელიწადი იმუშავა. 1990 წელს იგი საცხოვრებლად გადავიდა პარიზში, სადაც 11 წელიწადი დარჩა.

მაესტრო წარდგა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პუბლიკის წინაშე, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, რუსეთში, ამერიკასა და აზიაში. მან იდირიჟორა მსოფლიოს უნიკალურ დარბაზებში და უდირიჟორა უმაღლესი დონის ორკესტრებს – ლონდონის სამეფო ფილარმონიის ორკესტრს, ლონდონის „ფილარმონია“ ორკესტრს, საფრანგეთისა და ბელგიის ნაციონალურ სიმფონიურ



ორკესტრებს, გერმანიის წამყვან სიმფონიურ და რადიოს სიმფონიურ ორკესტრებს, მათ შორის 400 წლის ისტორიის მქონე შტუტგარტის სახელმწიფო ორკესტრს, ლეგენდარულ პეტერბურგის ფილარმონიისა და მარიას თეატრის ორკესტრებს, სსრკ რადიოსა და ტელევიზიის დიდ სიმფონიურ ორკესტრს, მოსკოვის ფილარმონიის ორკესტრს, სსრკ სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს, წამყვან ორკესტრებს მრავალ ქვეყანაში.

პეტერბურგის მარიას თეატრთან თანამშრომლობის პერიოდში ვახტანგ მაჭავარიანმა ითანამშრომლა მოსკოვის დიდ თეატრთან, ლატვიის ოპერასთან რიგაში, ვერონის არენაში, პარიზისა და ბორდოს ოპერის თეატრებში, გერმანიისა და შვეიცარიის საოპერო დასებთან. წლების განმავლობაში იგი თანამშრომლობდა შოტლანდიის ოპერასთან გლაზგოში და ამავე დასთან ერთად გამოდიოდა ედინბურგის ფესტივალზე და ბრიტანეთის არა ერთ ქალაქში.

ვახტანგ მაჭავარიანმა დააფუძნა 120-მუსიკოსიანი საფესტივალო ორკესტრი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მარიასა და დიდი თეატრების, პეტერბურგისა და მოსკოვის ფილარმონიების, ბალტიისპირეთის, საქართველოსა და უკრაინის წამყვანი ორკესტრების პირველი და წამყვანი მუსიკოსები. ორკესტრის ბაზა იყო როგორც მოსკოვში, ასევე პეტერბურგში. მალევე გაიმართა საფესტივალო ორკესტრის მეტად წარმატებული დებიუტი ლონდონის „როიალ ალბერტ ჰოლში“, რასაც მოჰყვა აზიური ტურნე. სსრკ-ის ეპოქის დასრულების შემდეგ ორკესტრს მიენიჭა „მოსკოვის საფესტივალო ორკესტრის“ სახელწოდება. კონცერტები ჩატარდა მოსკოვში, პეტერბურგში, ევროპის არაერთ ქვეყანაში.

მოგვიანებით იუბილარი დირიჟორი მოსკოვში რუსეთის დიდი სიმფონიური ორკესტრის „მილენიუმის“ სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა.

ვახტანგ მაჭავარიანი ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორად, მოგვიანებით კი ამავე ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა. ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის 75 წლის იუბილეზე ჩამოყვანილ იქნა 80-წევრიანი ქალაქ ბონის ფილარმონიული გუნდი და 7 ინტერნაციონალური დონის სოლისტი.

პაატა ბურჭულაძესთან ერთად, არტისტული დირექტორისა და მთავარი დირიჟორის სტატუსით, მან ჩაატარა ფესტივალი „ბრავო“, სადაც ნამდვილი ვარსკვლავთცვენა გაიმართა. ვახტანგ მაჭავარიანს თავისი ავტორიტეტითა და მწირი სახსრებით თბილისში ჩამოჰყავდა გამორჩენილი მაესტროები და უდიდესი სოლისტები. სწორედ მისი ინიციატივით ორკესტრი მიწვეულ იქნა 2 საკონცერტო პროგრამით ლეგენდარულ ამსტერდამის „კონცერგებაუს“ დარბაზში და გერმანიაში, რაც მომწვევმა მხარემ აიღო თავის თავზე. გასტროლები დაგვირგვინდა სენსაციური წარმატებით.

იუბილარი მაესტროს ინიციატივითა და დირიჟორობით საქართველოში გაჟღერდა არაერთი პრემიერა. მან შექმნა იოჰან შტრაუსის გალაკონცერტების ტრადიცია. მის სახელთან არის დაკავშირებული არაერთი ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების აჟღერება მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე.

როგორც ვახტანგ მაჭავარიანი ამბობს, მას დარჩა მთავარი მისია – მამის, ალექსი მაჭავარიანის ჯერ კიდევ შეუსრულებელი ოპერა „ჰამლეტის“ სცენური განსახიერება, რომლის საორკესტრო სიუიტა შექმნა ვახტანგ მაჭავარიანმა და რომლის პირველი შესრულება შედგა გერმანიაში შლეზვიგ ჰოლშტაინის ფესტივალზე მისივე დირიჟორობით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# შერმადინი და კოკოშკოვი იმედიანად არიან

დღეს ევრობასკეტ 2022-ის საკვალიფიკაციო ტურნირის ე ჯგუფში საქართველოს ნაკრები სერბეთს უმასპინძლებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებს ევრობასკეტზე თამაში გარანტირებული აქვთ, ჩვენი გუნდი სერბეთთან და ფინეთთან მატჩებისთვის სერიოზულად ემზადება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და სერბეთის ნაკრებებმა მიმდინარე ციკლში ერთხელ უკვე ითამაშეს და გასული წლის თებერვალში ბელგრადში გამართულ მატჩში ილიას ზუროსის შეგირდებმა 94:90 მოიგეს. მაშინ შეხვედრის გმირი თად მაკფადენი გახდა, რომელმაც 33 ქულა ჩააგდო, ხოლო გიორგი შერმადინმა 23 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა.

**გიორგი შერმადინი:**

– ვიცით, როგორ უყვარს ქართველ გულშემატკივარს კალათბურთი. როდესაც ნაკრები თბილისში თამაშობს, სპორტის სასახლე ყოველთვის გადატენილია და 10.000 ადამიანი ესწრება. თუმცა ეს მატჩები გამონაკლისია და, სამწუხაროდ, ქომაგი გვერდში ვერ დაგვიდგება. პირველ თამაშს სერბეთის ნაკრებთან ვმართავთ, რომელიც საქართველოში საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით ჩამოვიდა, მაგრამ ვვარჯიშობთ, ყოველდღიურად ვემზადებით და, როგორც ყოველთვის, მაქსიმუმს გავიღებთ. იმედია, ეს მატჩები ჩვენთვის კარგად ჩაივლის. სერბეთთან ბელგრადში გამარჯვება დაუვიწყარი იყო და ამ თამაშს ჩვენც და გულშემატკივრებიც ყოველთვის გავიხსენებთ. თავიდან ძალიან ცუდად დავიწყეთ, 15 ქულასაც ვაგებდით, მაგრამ ბოლო წუთებში გადაწყდა გამარჯვებულის ბედი. ეს ყველაფერი დაუჯერებელი იყო. ძალიან დიდი მადლობა ბიჭებს, რომლებმაც მაქსიმუმი გააკეთეს და იციან, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს თამაშები ჩვენთვის – კალათბურთელებისთვის, სამწვრთნელო შტაბისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის. გვინდა, მოვიგოთ და გავახაროთ ჩვენი გულშემატკივარი.



გიორგი შერმადინმა გოგა ბითაძესთან ერთად თამაშის შესაძლებლობაზეც ისაუბრა. ინდიანა პეისერსის კალათბურთელი ამჯერად ნაკრებს ვერ ეხმარება.

– გოგა ძალიან მაგარი ბიჭია, ჩვენ ერთად საქართველოს ნაკრებში უკვე გვითამაშია. მას შეუძლია 3-ქულიანიდან სროლაც და ძალიან ძლიერია 3-წამიანში ბრძოლაშიც. რასაც ვუყურებ გოგას თამაშს ნბა-ში, შეძლებისდაგვარად აკეთებს ქულებს, მოხსნებს, დაფარებებს... ევროპის ჩემპიონატზე გვეყოლება გოგა და მერე ვნახოთ.

გიორგიმ საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული კალათბურთელი კონერ ფრენკამპიც დაახასიათა.

– ძალიან კარგი პიროვნებაა. სანამ ჩვენს ეროვნულ ნაკრებში წამოვიდოდა, ესპანეთში მის გუნდს, მურსიას ვეთამაშეთ. საოცარი მატჩი მოვუგეთ... ჩემი აზრით, დაგვეხმარება. ძალიან კარგი მსროლელია, კარგი ხელი აქვს, თანაც, მოქნილი ბიჭია, სწრაფად დარბის, სწრაფად დააქვს ბურთი და ვნახოთ.

თბილისში არიან მეტოქე გუნდებიც. სერბებს მწვრთნელად ჩვენთვის კარგად ნაცნობი იგორ კოკოშკოვი ჰყავთ.

**იგორ კოკოშკოვი:**

– ვიცით, რა მისიაც გვაქვს საქართველოში. არავითარი გათვლა არ გვაქვს, ყველა მატჩში ბოლომდე დავიხარჯებით. ჯერ საქართველოს ვხვდებით, შემდეგ – შვეიცარიას. მათ უკვე ვეთამაშეთ და ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. მოთამაშეებს ენთუზიაზმი და ენერგია არ აკლიათ. მოსამზადებლად ბევრი დრო არ გვაქვს. მე ობიექტური ადამიანი ვარ და უნდა ვთქვა, რომ ყოველ შეკრებას ახალი შემადგენლობით ვატარებთ. საწყენად არ ვამბობ, საშუალო დონის კალათბურთელები მყავს, ვინაიდან ევროლიგისა და ნბა-ს მოთამაშეები ვერ გვეხმარებიან. შეხედეთ საქართველოს ნაკრებს, შერმადინი 10 წელია, თამაშობს. ლეგიონერები იცვლებიან, მაგრამ სხვები წლების განმავლობაში ერთად ასპარეზობენ. ამ მხრივ ჩვენთან შედარებით უპირატესობა აქვთ. ეს თავის მართლება არაა, რეალობაა. მოტივაცია პრობლემა არ იქნება.

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოსთან ვერ ითამაშებენ ვასილი მიციჩი და მარკო გუდურიჩი, მაგრამ გუნდს შვეიცარიასთან მატჩის წინ შეუერთდებიან.

კოკოშკოვი ყველანაირად ცდილობდა, ხსენებული კალათბურთელები თავიდანვე მის განკარგულებაში ყოფილიყვნენ, მაგრამ თავისი ვერ გაიტანა.

**სერბეთის ნაკრების შემადგენლობა საქართველოსთან:**

ოგნიენ იარამაზი, ნემანია დანგუბიჩი (ორივე პარტიზანი), ნიკოლა რებიჩი (ნანტერი, საფრანგეთი), ნემანია ნენადიჩი, მარკო რადოვანოვიჩი, სტეფან ჯორჯევიჩი (ყველა ფმპ), ალეკსა ავრამოვიჩი (ესტუდიანტესი, ესპანეთი), დანილო ანჯუშიჩი, ლუკა ასჩერიჩი (ორივე ბურჟი, საფრანგეთი), მარკო ლუკოვიჩი (სპლიტი, ხორვატია), დალიბორ ილიჩი (იგოკეა, ბოსნია), მიროსლავ რადულიცა (ზეჯიანგი, ჩინეთი), ფილიპ პეტრუშევი (მეგა), დრაგან აპიჩი (ბუდუჩნოსტი, ჩერნოგორია), ბორისა სიმანიჩი (ცრვენა ზვეზდა).

# ახალგაზრდულ ნაკრებს ევროპისთვის რამაზ სვანაძე მოამზადებს



საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს რამაზ სვანაძე უხელმძღვანელებს. 39 წლის ფეხბურთის სპეციალისტი საქართველოს 21 წლამდე ნაკრებს 2023 წელს დაგეგმილი ევროპის ჩემპიონატისთვის მოამზადებს, რომელიც 2023 წელს საქართველოსა და რუმინეთში ერთობლივად ჩატარდება.

ჩემპიონატის ორივე მასპინძელი ნაკრები უკვე ფლობს ფინალური ეტაპის საგზურს და საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა არ მოუწევთ. შედეგად, მიმდინარე წლის მარტიდან, ევროპის 2023 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე მხოლოდ ამხანაგურ მატჩებს გამართავენ.

სვანაძე 2019 წლიდან დღემდე საქართველოს 19 წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. 19 წლამდე ნაკრებმა 2019 წელს მისი ხელმძღვანელობით საკვალიფიკაციო ეტაპზე 3-ვე მატჩი მოიგო და ელიტრაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა.

სვანაძე საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ერთ შეხვედრაში ხელმძღვანელობდა. ახალგაზრდა სპეციალისტმა 2020 წლის 18 ნოემბერს უეფას ერთა ლიგის შეხვედრაში ესტონეთის წინააღმდეგ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე იმუშავა.

# შედეგები

**17 თებერვალი**

**ფეხბურთი**

## უეფას ჩემპიონთა ლიგა

პორტუ-იუვენტუსი ........................ 2:1
სევილია-დორტმუნდი ..................... 2:3

## ინგლისი. პრემიერლიგა

ბარნლი-ფულემი ............................ 1:1
ევერტონი-სიტი .............................. 1:3

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 24 | 17 | 5 | 2 | 49-15 | 56 |
| 2.მანჩესტერი | 24 | 13 | 7 | 4 | 50-31 | 46 |
| 3.ლესტერი | 24 | 14 | 4 | 6 | 42-26 | 46 |
| 4.ჩელსი | 24 | 11 | 6 | 6 | 40-24 | 42 |
| 5.ვესტ ჰემი | 24 | 12 | 6 | 6 | 37-28 | 42 |
| 6.ლივერპული | 24 | 11 | 7 | 6 | 45-32 | 40 |
| 7.ევერტონი | 23 | 11 | 4 | 8 | 35-33 | 37 |
| 8.ასტონ ვილა | 22 | 11 | 3 | 8 | 36-24 | 36 |
| 9.ტოტენჰემი | 23 | 10 | 6 | 7 | 36-25 | 36 |
| 10.არსენალი | 24 | 10 | 4 | 10 | 31-25 | 34 |
| 11.ლიდსი | 23 | 10 | 2 | 11 | 40-42 | 32 |
| 12.ვულვზი | 24 | 8 | 6 | 10 | 25-32 | 30 |
| 13.საუთჰემპტონი | 23 | 8 | 5 | 10 | 30-39 | 29 |
| 14.კრ.პალასი | 24 | 8 | 5 | 11 | 27-42 | 29 |
| 15.ბარნლი | 24 | 7 | 6 | 11 | 18-30 | 27 |
| 16.ბრაიტონი | 24 | 5 | 11 | 8 | 25-30 | 26 |
| 17.ნიუკასლი | 24 | 7 | 4 | 13 | 25-40 | 25 |
| 18.ფულემი | 24 | 3 | 10 | 11 | 20-32 | 19 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 24 | 2 | 7 | 15 | 19-55 | 13 |
| 20.შეფილდი | 24 | 3 | 2 | 19 | 15-40 | 11 |

## ინგლისი. ჩემპიონლიგა

ქოვენთრი-ნორვიჩი .......................... 0:2
ქპრ-ბრენტფორდი ............................ 2:1
მილუოლი-ბირმინგემი ...................... 2:0
სუონსი-ნოტინგემი ........................... 1:0
ბარნლი-ბლექბერნი .......................... 2:1
ბორნმუთი-როტერჰემი ...................... 1:0

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-ატლეტიკო ........................ 1:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 22 | 17 | 4 | 1 | 45-14 | 55 |
| 2.რეალი | 23 | 15 | 4 | 4 | 41-19 | 49 |
| 3.ბარსელონა | 22 | 14 | 4 | 4 | 49-21 | 46 |
| 4.სევილია | 22 | 14 | 3 | 5 | 32-16 | 45 |
| 5.ვილიარეალი | 23 | 8 | 12 | 3 | 32-24 | 36 |
| 6.სოსიედადი | 23 | 10 | 8 | 5 | 37-20 | 38 |
| 7.ბეტისი | 23 | 10 | 3 | 10 | 31-38 | 33 |
| 8.გრანადა | 23 | 8 | 6 | 9 | 27-38 | 30 |
| 9.სელტა | 23 | 7 | 8 | 8 | 29-34 | 29 |
| 10.ბილბაო | 22 | 8 | 4 | 10 | 32-26 | 28 |
| 11.ლევანტე | 23 | 6 | 10 | 7 | 32-33 | 28 |
| 12.ოსასუნა | 23 | 6 | 7 | 10 | 22-31 | 25 |
| 13.ხეტაფე | 23 | 6 | 6 | 11 | 17-29 | 24 |
| 14.ვალენსია | 23 | 5 | 9 | 9 | 28-32 | 24 |
| 15.კადისი | 23 | 6 | 6 | 11 | 20-39 | 24 |
| 16.ალავესი | 23 | 5 | 7 | 11 | 20-34 | 22 |
| 17.ეიბარი | 23 | 4 | 9 | 10 | 19-26 | 21 |
| 18.ვალიადოლიდი | 23 | 4 | 9 | 10 | 22-34 | 21 |
| 19.ელჩე | 21 | 3 | 9 | 9 | 19-31 | 18 |
| 20.უესკა | 23 | 2 | 10 | 11 | 18-33 | 16 |

## ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლეგანესი-ალმერია .......................... 2:1

## საფრანგეთი. ლიგა 1

მარსელი-ნიცა ................................. 3:2

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 25 | 16 | 7 | 2 | 42-15 | 55 |
| 2.პსჟ | 25 | 17 | 3 | 5 | 57-15 | 54 |
| 3.ლიონი | 25 | 15 | 7 | 3 | 51-22 | 52 |
| 4.მონაკო | 25 | 15 | 4 | 6 | 52-37 | 49 |
| 5.რენი | 24 | 10 | 8 | 6 | 31-26 | 38 |
| 6.მარსელი | 24 | 10 | 7 | 7 | 32-28 | 37 |
| 7.ლანსი | 25 | 10 | 7 | 8 | 35-34 | 37 |
| 8.მეცი | 25 | 9 | 8 | 8 | 29-24 | 35 |
| 9.მონპელიე | 25 | 10 | 5 | 10 | 41-45 | 35 |
| 10.ანჟე | 25 | 10 | 4 | 11 | 30-40 | 34 |
| 11.ბორდო | 25 | 9 | 6 | 10 | 27-29 | 33 |
| 12.ბრესტი | 25 | 9 | 4 | 12 | 37-44 | 31 |
| 13.რეიმსი | 25 | 7 | 8 | 10 | 31-33 | 29 |
| 14.ნიცა | 25 | 8 | 5 | 12 | 30-36 | 29 |
| 15.სტ.ეტიენი | 25 | 7 | 8 | 10 | 25-36 | 29 |
| 16.სტრასბური | 25 | 8 | 4 | 13 | 34-40 | 28 |
| 17.ლორიანი | 24 | 6 | 5 | 13 | 30-45 | 23 |
| 18.ნანტი | 25 | 4 | 10 | 11 | 25-40 | 22 |
| 19.დიჟონი | 25 | 2 | 9 | 14 | 17-38 | 15 |
| 20.ნიმი | 24 | 5 | 3 | 16 | 22-51 | 18 |

## შოტლანდია. პრემიერლიგა

სელტიკი-აბერდინი ........................ 1:0

## ბელგია. ა დივიზიონი

ბევერენი-ეუპენი ............................. 1:0
ოსტენდე-გენკი ............................... 3:1

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

## კაცები

ჯოკოვიჩი-კარაცევი ........... 6:3,6:4,6:2

## ქალები

ოსაკა-ს.უილიამსი .................... 6:3,6:4
მუხოვა-ბრედი .................... 4:6,6:3,4:6

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# იუვენტუსმა ფავორიტის სტატუსი ვერ გაამართლა

**პორტუ-იუვენტუსი 2:1**

**პორტუ. დრაგაო**

**1:0 ტარემი (2), 2:0 მარეგა (46), 2:1 კიეზა (83)**

**პორტუ:** მარჩესინი, მანაფა, მბემბა, პეპე, ზანუზი, კორონა (ლუმი 90), ურიბე, ოლივეირა (კონსეისაო 90), ოტავიო (დიასი 57), მარეგა (გრუიჩი 66), ტარემი

**იუვენტუსი**: შჩესნი, დანილო, დე ლიხტი, კიელინი (დემირალი 35), სანდრო, კიეზა, რაბიო, ბენტანკური, მაკკენი (მორატა 63), კულუშევსკი (რემზი 77), რონალდუ



ვერ გაამართლა იუვენტუსმა ფავორიტის სტატუსი და პირველი მერვედფინალური მატჩი ლისაბონში პორტუსთან დათმო. მეტიც, შეიძლებოდა, ანდრეა პირლოს გუნდისთვის მატჩი უფრო ცუდად დასრულებულიყო.

იუვენტუსმა ჩააგდო ორივე ტაიმის დასაწყისი და გოლებიც ამ მონაკვეთებში გაუშვა. ანგარიში პორტუმ მე-2 წუთზე გახსნა და ეს გოლი ტურინელებმა აჩუქეს. ბენტანკურმა უყურადღებოდ დაუბრუნა ბურთი მეკარეს, რითიც მეჰდი ტარემიმ ისარგებლა.

იუვენტუსი პირველ ნომრად კი თამაშობდა, მაგრამ – იდეების გარეშე, ჩრდილში იყო თვით კრიშტიანუ რონალდუც. ტურინელებმა პირველად კარში ტაიმის ბოლოს დაარტყეს და სახიფათო არც ის გამოდგა.

შესვენების შემდეგ 19 წამი იყო გასული, პორტუმ მეორეც რომ გაიტანა – მუსა მარეგამ შეაგდო. ტურინელთათვის მდგომარეობა დამძიმდა, ამიტომ დაწოლას მოუმატეს, მაგრამ ორჯერ თავად გადაურჩნენ გოლს. და მაინც იუვე ორთამაშიან დუელში დაბრუნდა – მატჩის ბოლოსკენ ფედერიკო კიეზამ გაიტანა და ტურინელებს შანსი დაუტოვა. თუმცა, თამაშიდან გამომდინარე, აშკარა ფავორიტები უკვე აღარ ჩანან.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ვილსონ მანაფა.

მშვენივრად ითამაშა დაცვის მარჯვენა ფლანგზე. საკუთარ მოვალეობას კარგად გაართვა თავი და პირველი გოლიც მისი დამსახურება იყო, როდესაც შეტევაში ჩინებულად ჩაერთო.

**სევილია-დორტმუნდი 2:3**

**სევილია. სანჩეს პისხუანი**

**1:0 სუსო (7), 1:1 დაუდი (19), 1:2, 1:3 ჰაალანდი (27, 43), 2:3 დე იონგი (84)**

**სევილია:** ბონო, ნავასი, კუნდე, დ.კარლოსი, ესკუდერო, ჟორდანი (ოსკარი 72), ფერნანდო, რაკიტიჩი (გუდელი 46), სუსო (ლ.დე იონგი 60), ენ-ნესირი (ელ ჰადადი 60), ა.გომესი (ო.ტორესი 60)

**დორტმუნდი**: ჰიტცი, ბაუზა, აკანჯი, ჰუმელსი, გერეირო (პასლაკი 76), დაუდი (მონიე 89), ჯანი, ბელინგემი, როისი (ბრანდტი 80), სანჩო, ჰაალანდი

მატჩის დასაწყისი გერმანელებისთვის კარგს არაფერს მოასწავებდა – სევილიამ პირველივე დარტყმით გაიტანა. თუმცა სუსოს ისიც წაეხმარა, რომ ბურთი დორტმუნდელთა მცველიდან ასხლეტით შევარდა კარში.

თუმცა ესპანელებმა ძალიან ადრე დაიწყეს ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრი და დაისაჯნენ. ჯერ დაუდმა გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი ავანსცენაზე ერლინგ ჰაალანდი გამოჩნდა, რომელმაც დუბლი შეასრულა.

სევილიელებმა ისღა მოახერხეს, რომ ანგარიშში სხვაობა შეამცირეს, მაგრამ მათი პერსპექტივა მაინც უფრო ბუნდოვანია.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ერლინგ ჰაალანდი.

ჩემპიონთა ლიგა ნორვეგიელის ტურნირია – 13 მატჩში უკვე 18 გოლი აქვს გატანილი. მართლაც შესანიშნავი პერფორმანსი გამოუვიდა – ჯერ დაუდს გაატანინა, შემდეგ თავად დუბლი გაიფორმა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ქალაქი იტალიაში, სადაც ტარდებოდა საოპერო მომღერლების საერთაშორისო კონკურსი; 2. ფირმის, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ქონების შემფასებელი ექსპერტი; 3. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 4. ტროას ძველბერძნული სახელწოდება; 6. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 8. კომბინაცია პოკერში; 11. ჩქარტემპიანი კუბური ცეკვა; 12. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 16. ბალჩეული ხილი; 17. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 18. მდინარე ოზურგეთში.

**თარაზულად**: 1. სამონასტრო კომპლექსი თბილისის მახლობლად; 5. მინერალური წყალი სამეგრელოში; 7. ხელის კუნთების სავარჯიშო სატანვარჯიშო იარაღი; 9. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 10. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 13. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 14. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 15. უდაბნო ჩინეთსა და მონღოლეთში; 19. ჩრდილო ამერიკაში მზარდი გიგანტური წიწვოვანი ხე; 20. ფრანგული მსუბუქი ავტომობილი; 21. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 22. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მარჩილი; 2. რონდელი; 3. ენისეი; 4. ბერიო; 5. ბაბილონი; 7. გოა; 11. ლუსონი; 15. ქუთაისი; 16. ორტეგა; 17. იოკაი; 18. კასიო; 20. ლეონი; 22. ლაგი.

**თარაზულად:** 6. ალდაგი; 8. ჯონსონი; 9. კურსები; 10. ჩარგალი; 12. უწერა; 13. ოპელი; 14. ანასეული; 19. ურთხელი; 21. სოფელი; 23. აიეტი; 24. ბადაგი; 25. ასპინძა; 26. კომპანია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფურორი; 2. ხუდონი; 3. ბოლივუდი; 4. ურჯუკი; 6. აერობუსი; 8. ფიკუსი; 11. კუპიდონი; 12. მუშაითი; 16. ბასრა; 17. მაცნე; 18. ჰიმნი.

**თარაზულად:** 1. ფერხისა; 5. კაკაო; 7. ბონდერი; 9. ოოლოგია; 10. მურილიო; 13. სანდალი; 14. ჰუმუსი; 15. ყუმი; 19. დამბაჩა; 20. რაფინადი; 21. სამეგრელო; 22. ჟიგული.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

19 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3044

ევრო — 3.9871

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5832

100 რუსული რუბლი — 4.4741

## ამინდის პროგნოზი 19 თებერვლისათვის




## 23 თებერვლიდან

## ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

## ტომი 2




სერია „ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიაში“ თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის ქართველი მწერლების რჩეული საბავშვო მოთხრობები. მათი წაკითხვა ფრიად გაამდიდრებს ბავშვის ფანტაზიას, წარმოსახვის უნარს, ლექსიკას და შეაყვარებს ლიტერატურას.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## პსჟ მბაპეს 200 მილიონად შეელევა



ფრანგულმა პსჟ-მ ის თანხა დაასახელა, რომელიც კილიან მბაპეს შეძენის მსურველმა უნდა გადაიხადოს და ეს თანხა 200 მილიონი ევროა.

მბაპეს კონტრაქტი 2022 წელს უმთავრდება და ჯერჯერობით მის გახანგრძლივებას არ ჩქარობს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ ინტერვიუში მან პსჟ-ში დარჩენაზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდში ბედნიერია.

მბაპეს შეძენა ყველაზე მეტად მადრიდის რეალს სურს, თუმცა მსურველები სხვა გუნდებიც არიან, მაგალითად, მანჩესტერ სიტი, რომელსაც შეუძლია 200 მილიონის გადახდა.

## პოგბა მოედანს მარტში დაუბრუნდება



პოლ პოგბა მოედანზე თებერვალში არ დაბრუნდება. ამის შესახებ მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ისაუბრა, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ პოლი მოედანს მალე დაუბრუნდება.

სოლსკიაერმა ასევე პოგბას პროდუქტიულობაზე ისაუბრა და თქვა, რომ პოლი წელს კარგ სეზონს ატარებს. მანჩესტერ იუნაიტედი ამჟამად მეორე ადგილზეა ინგლისის ჩემპიონატში და გუნდი წელს ჩემპიონობისთვის იბრძვის.

## ანდრეა პირლომ მსაჯები გააკრიტიკა



პორტოსა და იუვენტუსის მატჩის შემდეგ, რომელიც პორტოს გამარჯვებით 2:1 დასრულდა, იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა ანდრეა პირლომ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ბოლო წუთზე მსაჯს პორტოს კარში პენალტი უნდა დაენიშნა, მაგრამ რატომღაც ეს არ გააკეთა:

— მსაჯს თამაშის შემდეგ ვკითხე, თუ რატომ არ დანიშნა პენალტი, რაზეც მან მიპასუხა, რომ კონტაქტი საკმარისად უხეში არ იყო. ვფიქრობ, ის შეცდა. წაგების მიუხედავად, შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ოპერაციის შემდეგ გონზე მოსულ სპეცრაზმელს ექიმი ეუბნება:

— ასე, ჩემო კარგო, კვერცხები მოგაცილეთ.

— რა კვერცხები, ექიმო? ხომ გეუბნებოდით, თიაქარი მქონდა!

— მასე მეც გეუბნებოდი, რომ სახლში მივდიოდი და არა მიტინგზე!

●●●

სამი ნაცნობი საუბრობს. ერთი ამბობს:

— ჩემი ფეხმძიმე ცოლი „ორ კაპიტანს“ კითხულობდა და ტყუპი ბიჭები გააჩინა.

მეორე ამბობს:

— ჩემი კი ფეხმძიმობის დროს „სამ მუშკეტერს“ კითხულობდა და სამი ტყუპი გააჩინა.

ამ დროს მესამეს ფერი ეცვალა და წყალი ითხოვა.

— რა მოხდა, რა დაგემართა? — ეკითხება ერთ-ერთი.

— ჩემი ცოლი ცხრა თვის ფეხმძიმეა და „ალი-ბაბასა და ორმოც ყაჩაღს“ კითხულობს.

## კატამ პატრონები გველისგან საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატში კატამ თავისი პატრონები შხამიანი გველის თავდასხმისგან საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა.

ორი ბავშვი ბაღში თამაშობდა, როდესაც იქ ყავისფერმა ბადისებურმა გველმა შეაღწია. მის დანახვაზე კატა, სახელად არტური, მაშინვე თავს დაესხა ქვეწარმავალს და მოკლა. იქ მყოფთაგან ვერავინ შენიშნა, რომ გველმა შინაური ცხოველისთვის კბენა მოასწრო.

ქვეწარმავალთან ორთაბრძოლის დასრულების შემდეგ კატამ გონება დაკარგა, თუმცა მალევე მოეგო გონს და ჩვეულებრივ იქცეოდა. როდესაც მან მეორე დილითაც დაკარგა გონება, შეწუხებულმა პატრონებმა მისი ვეტერინარისთვის ჩვენება გადაწყვიტეს. სპეციალისტმა გაარკვია, რომ კატა გონებას გველის ნაკბენის გამო კარგავდა. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნიკა ცისკარიძემ შეკვეთილში სახლი იყიდა



ბალერონმა ნიკა ცისკარიძემ შეკვეთილში სახლი იყიდა.

ინფორმაცია ამის შესახებ მოცეკვავემ ინტერნეტით თავად გაავრცელა:

— შეკვეთილში შევიძინე სახლი. ჩემი სახლი მოსკოვშია, მაგრამ მინდოდა, მქონოდა ღუზის ჩასაშვები ადგილი სადმე ზღვაზე და შეკვეთილი ავირჩიე. მომენატრა საქართველო.

## პეტრე კოლხი: „შენი პრინციპებისა და ღირებულებების ერთგული იყავი“



პოეტ პეტრე კოლხს მიაჩნია, რომ მთავარია, ადამიანი საკუთარი ღირებულებებისა და პრინციპების ერთგული იყოს და სხვა მასზე რას იფიქრებს, სულ არ არის მნიშვნელოვანი:

— რაში გაინტერესებს, ვინ რას ფიქრობს შენზე. შენი პრინციპებისა და ღირებულებების ერთგული იყავი, გამოზარდე საკუთარი თავი და ღირსეულად გაუძელი ცხოვრებისეულ გამოწვევებს. თვალი არ მოაცილო ბეწვის ხიდს, რომელზეც ყოველწამიერად ქანაობ. შენამდე მასზე ბევრმა გაიარა, მაგრამ ცოტამ თუ დატოვა სახელი. კაცმა არ იცის, როდის ჩაგიწყდება. ნურც შიში გექნება ჩაწყვეტის.

მთელი გულით აკეთე ის, რაც შენს სულს სიმშვიდესა და სიხარულს მოუტანს. დრო არ დაუთმო მათ, ვინც ქვების სროლით არის დაკავებული. გაიღიმე და მიზნისკენ იარე. შენამდე ვერც ერთი ქვა ვერ მოაღწევს. აისხლეტ, ბუმერანგივით უკან ბრუნდება და თავად შეეწირებიან. არც გულში გაიფიქრო მათი განსჯა. არავინ ღირს იმად, გაბოროტებულს პასუხი მოსთხოვო. ღმერთს მიანდე. შენ მყარად დადექი ქარიშხალში და გახსოვდეს, სადაცაა გადაივლის. შენს თავზე კი მზე ისევ ამოანათებს და არც გემახსოვრება, რა გამოიარე.

## ნოდიკო ტატიშვილი ახალი კლიპის პრემიერას გამართავს



მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი ახალი სიმღერისა და მასზე გადაღებული კლიპის პრემიერას გამართავს.

ახალ ნამუშევარს ხელოვანი ია ფარულავას გადაცემა „ფარულ კონვერტში“ წარადგენს.

„გემშვიდობები“ — ასე ჰქვია სიმღერას, რომელზეც ვიდეორგოლი რეჟისორმა ნესტან სინჯიკაშვილმა გადაიღო. ნოდიკოს ბოლო პერიოდის კლიპების რეჟისორი სწორედ ნესტან სინჯიკაშვილია.

## ანა ყიფიანმა კანადის საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა



პიანისტმა ანა ყიფიანმა კანადის საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა.

ონლაინ ჩატარებულ კონკურსში ანამ 200 მონაწილეს შორის 20 ფინალისტთა შორის დაიკავა ადგილი, მოგვიანებით კი საუკეთესო ექვსეულშიც დასახელდა.

საბოლოოდ ქართველმა პიანისტმა კონკურსის 2 სპეციალური პრიზი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა. ანა ყიფიანი მთელი კონკურსის მასშტაბით კლასიკური ნაწარმოების — მოცარტის საუკეთესო შემსრულებლადაც დასახელდა და მაყურებლის პრიზის მფლობელიც გახდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ვახტანგ მაჭავარიანი 70 წლისაა

დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი იუბილარია. მას 70 წელი შეუსრულდა.

ალექსი მაჭავარიანის შვილი წლებია, წარმატებით მოღვაწეობს უცხოეთში და მსოფლიოს წამყვან ორკესტრებთან თანამშრომლობს. ვახტანგ მაჭავარიანის თანამშრომლობა უკავშირდება 80-ზე მეტ მაღალი რანგის სიმფონიურ ორკესტრს და 25-ზე მეტ საოპერო თეატრს მსოფლიო მასშტაბით.

მას მერე, რაც მან დაამთავრა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა ფორტეპიანოს კლასით, შემდგომ კი — თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტი პროფესორ ემილ გურევიჩის კლასში, იგი გახდა იმავე კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკულტეტის სტუდენტი პროფესორ ოდისეი დიმიტრიადის კლასში.

ვახტანგ მაჭავარიანმა გაიარა ასისტენტურა-სტაჟირების კურსი მოსკოვის კონსერვატორიაში უდიდეს რუს მაესტროსთან, პროფესორ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ასტროპროგნოზი



**19 თებერვლისათვის**

**ვერძი** — მძიმე დღეა. იმედი გიცრუვდებათ. საკუთარი პოზიციების დასაცავად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **კურო** — ბედი გწყალობთ. ქალები საკუთარ ტალანტს საკმაოდ ეფექტურად წარმოაჩენთ. **ტყუპები** — ნებისმიერი საქმე იოლად გამოგდით. უსიამოვნებები არ გაწუხებთ. გელით ახალი გატაცება. **კირჩხიბი** — თავს ბედნიერად და დაცულად გრძნობთ. ცხოვრებისაგან დიდ სიამოვნებას იღებთ. **ლომი** — მიზნის მიღწევაში ხელისშემშლელი ფაქტორები იჩენს თავს, თუმცა ეს დროებითია. ემოციები დაიოკეთ. **ქალწული** — ჰარმონიული დღეა. ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული ხართ. დაუფიქრებელ ნაბიჯს ნუ გადადგამთ. **სასწორი** — შანსი გეძლევათ, ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. იღბლიანი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **ღრიანკალი** — ჯანმრთელობის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. საქმიანი შეხვედრები სხვა დროისათვის გადადეთ. **მშვილდოსანი** — გელით კარიერული წინსვლა. ქალებს მსუბუქი ფლირტი გაგახალისებთ. **თხის რქა** — ენერგია გემატებათ. ნებისმიერ საქმეს მარტივად მოაგვარებთ. შესაძლოა, ძვირფასი ნივთი შეიძინოთ. **მერწყული** — საქმიანი და შემოქმედებითი აქტივობა გაამართლებს. პატარა დაბრკოლებებს ნუ შეუშინდებით. **თევზები** — ახალი ნაცნობობა, ხელშეკრულებების გაფორმება წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად ქვეითდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. ჩრდილოამერიკელ ინდოელთა საცხოვრებელი ქოხი; 2. ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 3. მსოფლიოში უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური კომპანია; 4. მანძილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე; 5. ფრანგი მხატვარი, ფერწერული ტილო „თავისუფლება ბარიკადებზე“ ავტორი; 7. სამხრეთკორეული ავტომობილი; 11. ბავშვთა ქალაქი თბილისში; 15. პისტოლეტების მწარმოებელი ცნობილი გერმანული ფირმა; 16. სილამაზის, სიყვარულის, ბედნიერების, სიმდიდრის ღვთაება ინდუიზმში; 17. აკვიატებული შიში; 18. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი; 22. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში;

**თარაზულად**: 6. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 8. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 9. ჭაობში ბინადარი სისხლისმსმელი ჭია; 10. საღამოს სადილი; 12. ტროპიკული ხილი; 13. ზღაპრული შინაარსის იგავი; 14. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 19. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 21. აჭარული ცეკვა; 23. სათამაშო ქაღალდი; 24. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 25. სიკო დოლიძის კინოკომედია; 26. ინგლისელი მწერალი ქალი, ჰარი პოტერის პერსონაჟის შემქმნელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*